

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა-დღეს.

№ 12 მ ა რ ტ ი 21 1899 წ. № 12

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები გ. წერეთლისა.—სხვა და-სხვა ამბები.—წერილი ბათომიდან, თაიგულისა.—ქუთაისი 189Ყ წ. ი კაკაბაძისა.—კვირიდან კვირამდე.—„თვალები“ ლექსი დ. თომაშვილისა.—პასუხი იურიევის (დორპატის) სტუდენტების ცილის წამებაზე ან. წერეთლისა.—პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა.—დაუსრულებელი სტიპენდია და საუცხოო სამშობლოს სიყვარული გ. გელეიშვილისა.—წერილი იურიევიდან ს. დ—ნისა.—კვალის ფოსტა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები. *)

II.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ თუ არა ქუთაისის ბანკი, ვინც კი საჭიროებდა ფულს, ყველა ბდუთ მიესია სესხის გამოსატანათ. ახალ აღორძინებულ მრეწველობა-ვაჭრობას ფული ეჭირვებოდა. ფული საჭირო იყო წვრილი ადგილ-მამულის მეპატრონე აზნაურობისთვის, რადგან მას აკლდა მოქირავე მუშები თავისი ადგილ-მამულის უკეთ შემუშავებისათვის; ფული ეჭირვებოდა ამაკე მიზნით გლეხს, რომელიც ან წვრიმალ ვაჭრობას იწყებდა, ან ადგილ-მამულს იძენდა; ფული ეჭირვებოდა აგრეთვე დიდი ადგილ-მამულის მეპატრონეებს, რადგან ისინი ჩვეულნი იყვენ განცხრომით ცხოვრებას და მუქთი მუშა ხელიდან გამოცლოდათ.

ამ ხანებში ბანკის კრებებზე განუსაზღვრელათ ბატონობდენ დიდი გვარისა და ადგილ-მამულის მეპატრონეები. იმათ გაელენას ქვეშ ამოირჩა ბანკის გამგეობა, ზედამხედველი კომიტეტი და დამფასებელი კომისიის წევრები. პირველში ქუთაისის ბანკის წესდების ძალით დამფასებლები მეკენჭეებისგან ირჩეოდენ. სანამ საარჩევნო სხდომებს თავში უდგენ გაელენის მექონე გვარიშვილები, ისინი დამფასებლებს თავისიანებიდან ირჩევდენ. ამსახით მაშინდელი დამფასებლებიც სულ წარჩინებული გვარიშვილები იყვენ—ბაგრატიონი, დადიანი, წულუკიძე, გუგუნავა, ერისთავი და ყველა ამისთანები. ადგილ-მამულის მეტ-ნაკლებათ დაფასება და სესხის გადიდება სულ ამათი საქმე იყო. ისინი თუ ვინმე წარჩინებულ გვარიშვილს სესხს გადაუწყვეტდენ, გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი მაინცა-და-მაინც ბევრს ვეღარას ამბობდენ საწინააღმდეგოთ. სესხის ჩამოკლების იმათ ძალიან ერიდებოდათ, რადგან იცოდენ, რომ ეს გაელენიან მსესხებელს გააჯავრებდა და მისი გაჯავრება ხომ მთელი მისი მეგვარე და მონათესავე კაცების გაჯავრება იყო. მაშინ გვარში ყოველთვის უფროსი კაცი თანხმობდა და დისციპლინის

*) იხ. „კვალი“ № 11.

შემდგენი საგვარეულო ეტიკა იყო. ჯერ ახლაც ბევრს ახსოვს, თუ რა ძლიერი შემაერთებელი ძალა იყო ასეთი პატრიარხალური წეს-რიგი. ხშირათ მომხდარა, რომ კრებაზე ერთ რომელსამე პატივცემულ მოხუცებულ თავადიშვილს წარბი შეეხაროს უსიამოვნების ნიშნათ, ანუ ულვაშზე ხელი დაედვას მუქარის ნიშნათ და იმავ წამს სამოცოთხმოც წევრს მის მეგვარე კაცს ხანჯალზე ერთათ ხელი დაედვას. ვინ არ ახსოვს, პატივცემულ ბახვა ფალავას და მის ხელის გაქნევას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბანკის კრებებზე. ეს თავადიშვილის გვარი ყველა გვარებზე უფრო მრავალ-რიცხოვანი იყო. ბახვა ფალავა რომ დაიძროდა, სამოცი კაცი მისი მეგვარე ფალავა ერთათ უკან აედევნებოდა; ამათში ყველას ჰქონდა კენჭი, ზოგს ორ-ორიც, და ახლა, თვით იფიქრეთ, რა დიდი გავლენა ექნებოდა ამ ᲒᲕᲐᲠᲡ და მის უფროს კაცს, რომელიც გვარში პატრიარხათ ითვლებოდა. ამგვარივე პატრიარხალური დისციპლინა ჰქონდათ დადიანებსაც, გელოვანებსაც და გურიელებსაც. ამ ფეოდალურ-პატრიარხალურ გავლენის დროს, როგორც დამფასებელი კომისია, ისე კომიტეტ-გამგეობა, ბევრათ თუ ნაკლებათ, ნებისაებრ დიდი თავადიშვილის გვარებისა მოქმედებდენ. იმათი მამულებიც შედარებით უფრო მეტათ ფასობდა, ისინი მეტ სესხსაც იღებდენ და შაღავათიც ნედოიმკების გადახდაში იმათ მეტი ჰქონდათ. ხშირათ მომხდარა, რომ შესატანი სარგებლის ნახევარით და მესამედითაც კმაყოფილდებოდა ბანკის გამგეობა. ამ სახით დიდ მამულებზე და დიდი მამულის მეპატრონეებზე ნედოიმკები ძალიან მალე გადიდდენ.

უეჭველია, რაც დიდ მსესხებელს საღავათი ეჭირვებოდა, იმავე საღავათს ითხოვდა წვრილი მსესხებელი ვაჭარი, თუ მრეწველი. მაგრამ მაშინდელი გამგეობა და დამფასებელი კომისია იმათ საჭიროებას ყურადღებასაც არ აქცევდა. ბევრჯელ ისინი ბანკის დარბაზის კიბიდანაც კი ჩამოუყდიათ უპატივცემულოთ და ასეთი შეტევებით: „არ იქნება, რომ ნედოიმკაში რაიმე საღავათი მოგეცესთ; ან სულ შემოიტანეთ, ან მამული გაგეყიდებათო“. ამას გარდა, როცა წვრილი მრეწველი აზნაური, ან ვაჭარი, თუ თავისუფალი გლები, შეეხვეწებოდა რომელსამე წარჩინებული გვარის დამფასებელს, იქნება მეტათ დამფასოთ მაჟული და მეტი სესხი მომცენო, რადგან ფულის რაოდენობა ამა-და-ამ საქმისთვის მეჭირვებაო,—იმას ან შეურაცხყოფას მიაყენებდენ და ან ისიც შესაძლო იყო, რომ დამფასებელი საიდუმლოთ მოურიგდებოდა ვაჭარ-მრეწველს და მოახერხებდა სესხის წამატებას. ვგონებ, ბევრს ეხსომება თ. ტ. დ—ს დამფასებლობის თანამდებობიდან გადაყენება ამგვარი საქციელისთვის. რომ ასეთ ფაქტებს ბანკისთვის ცუდი შედეგი არ ჰქონოდა, ბანკის გამგეობამ საზოგადოებას ურჩია წესდების შეცვლა იმ-რიგათ, რომ დამფასებლები გამგეობ-სა და ზედამხედველი კომიტეტის წევრებისაგან ყოფილიყო ამორჩეული. მაგრამ ამას შემდეგაც დამფასებლებათ დიდი ფეოდალების კლიენტები ირჩეოდენ. ასეთ გარემოებაში იყო მაშინდელი თავად-აზნაურობის ინტელიგენცია, რომელიც აწარმოებდა ბანკის საქმეებს და ეს ძლიერ აწუხებდა წვრილ-მრეწველ-მოვაჭრე წოდებას. მაშინ იმათკენ სასწორს არავინ ხრიდა ბანკში. უპირატესობა სესხის გადიდებისა და ნედოიმკების შეტანის საღავათისა მარტო დიდი ადგილ-მამულის და გავლენის მქონე თავად-აზნაურობას ეძლეოდა. მაგიერათ ასეთმა ქცევამ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისამ მალე მოიტანა თავისი ცუდი ნაყოფი. ვინც კი იყო დიდი ადგილ-მამულის მეპატრონე თავადიშვილები, რომელთაც დიდი სესხები გამოიტანეს, ყველამ ჩატოვა ბანკში თავისი მამულები. ამისგამო ქუთაისის ბანკმა დიდი ზარალი ნახა. მისი ბალანსის ცუდი მხარე არ გამოეპარა სამინისტროს, რომელმაც ფიცხელი ბრძანება გამოუგზავნა მაშინდელ ბანკის გამგეობას და დაუწუნა დაფასება; ამას გარდა დაავალა საჩქაროთ გაჰყიდეთ ბანკზე დარჩენილი მამულებიო. ამ დროს ბანკს ჩარჩა დადიანების, გელოვანების, მაჩაბლების, ერისთვების და მრავალი სხვა თავადიშვილების მამულები. მეოთხმოცე წლებში ბანკის გამგეთ შეიქნა თ. დიმიტრი დადიანი და ყოველივე ნაკლულევანება წინანდელი გამგებლებისა იმას მოეხვა თავზე. 1882 წელს სამინისტრომ სხვა მკაცრ საყვედურებთან ერთათ ქუთაისის ბანკის გამგეობას აუკრძალა სესხის გაცემა, სანამ ბანკზე დარჩენილ მამულებს არ გაჰყიდი და ბანკის ზარალს არ მოამთობ. ეს ნიშნავდა ფაქტიურათ ბანკის დახურვას. აი, ამ დროდან ქუთაისის ბანკმა წელი ველარ წამოიტორია. თ. დიმიტრი დადიანი არ იყო არც კარგი მცოდნე ბანკის ოპერაციებისა, არც მშრომელი და ენერგიის კაცი. ამასთანავე ის ცოტა ავათმყოფიც იყო. თუმცა რამდენსამე წელს შემდეგ, როცა მინისტრი ვიშნეკრადსკი ბათუმს ჩამოვიდა, ნ. ნიკოლაძის და სხვების დახმარებით მან აიღო ნებართვა ყოველ-წლიურათ სამასი ათასი მანეთის სესხის გაცემისა, მაგრამ ეს მაინც ბევრს არას ეხმარებოდა ქუთაისის ბანკის საქმეების წარმატებას. ამასთანავე დადიანმა არამც თუ წვრილ მსესხებლებში აღძრა დიდი უკმაყოფილება უყურადღებობით, არამედ თვით თავის მომხრე დიდი მამულის მეპატრონეებშიაც მოიმკო საყვედური, რადგან მან ვერ ისარგებლა კარგი შემთხვევით და ქუ-

თაისს თავად-აზნაურობას ხელიდან დააკარგვინა ისეთი ძვირფასი მამული, როგორიც იყო ქუთაისის კლასიკური ღიმნაზიის შენობა, მისი ორწყება დუქნებიანა, სამეფო შენობიანა და აბანოებიანა. ეს ისტორიული განძი ქუთაის-ს თავად-აზნაურობის ხელში შეადგენდა მილიონის საღირალას, რომელიც შეეძლო მას, დიმიტრი დადიანს რომ მოენდომებინა, ასი ათას მანეთათ დაერჩინა. ასეთი წინადადება თვით ამ მამულის მეპატრონეებმა, თ. თუმანიშვილებმა და აკოფაშვილებმა, წარუდგინეს გამგეობას და ბანკის კრებებზედაც არაერთხელ წააქეზეს თვით საზოგადოება. კრებამ რამდენჯერმე კიდეც დაადგინა ამ მამულის ბანკში დაგირავება და ბოლოს გამოყიდვა, მაგრამ დიმიტრი დადიანმა არ აასრულა კრების განჩინება. ამ დროს მთავრობა დაინტერესდა ამ მამულზე და კიდეც შეიყიდა უფრო ძვირათ, ვიდრე თავადაზნაურობას უთმობდენ.

ამასობაში ბანკის კრებებზე თან და-თან უფრო იმატა ხმამ წვრიმალ-მრეწველ-აზნაურობისამ და ვაჭრობისამ. მაშინ როდესაც დიდი გვარიშვილები სესხულობდენ ფულს მხოლოთ ვალების გადასახდელათ და განცხრომით ცხოვრებისათვის, წვრილი მრეწველი აზნაურობა გლეხობა და ვაჭრობა ბანკიდან ნასესხი ფულით თავის სამრეწველო და სავაჭრო საქმეებს წინ აყენებდა, ცხოვრებას იუმჯობესებდა, ადგილ მამულებს იძენდა, აღებ-მიცემობას ადიდებდა. რაც უფრო მრავლდებოდენ ამ წრის, ანუ კლასის, მსესხველი, მით უფრო ერთსულობით იცავდენ ესენი ბანკის კრებებზე თავ-ს ინტერესებს და არაფრათ ეჭაშნიკებოდათ დიმიტრი დადიანი და მისი მომხრეები. ვაჭარ მრეწველთა პარტიის ინტერესი იყო, რომ ბანკის გამგეობაში თავისი კაცები ჰყოლოდა; ამიტომაც იმან დაიწყო ამიერიდან ისეთი კაცების ძებმა, რომელნიც მზათ იყვენ ვაჭარ-მრეწველთა კლასს მიდგომოდენ, საღავათი მიეცათ ხოლმე მისთვის, როგორც სესხის აღების დროს, ისე ნედლიმკების შეტანაში. ვაჭარ მრეწველთა არა ერთხელ გამოსცადეს პრაქტიკულათ, რომ არც დიმიტრი დადიანი და არც იმის მომხრენი მათ არას არგოდენ. ეს ის დრო იყო, როცა აღებ-მიცემობა და სამეურნეო სამადნო მრეწველობა ვითარდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მათ ფეხი არ ჰქონდათ და არც დღემდის აქეთ მომაგრებული.

ყოველი ჩვენი მწარმოებელი, როგორც ვიცით, დამოკიდებულია ბაზარზე და მყიდველზე; მაგრამ თავის დროზე არც ბაზარი აძლევს მრეწველ-მწარმოებელს და ვაჭარს სრულ საღირალ ფასს საქონელში და არც მყიდველი; მაშინ როდესაც მას სხვა მრავალ საოჯახო-სამრეწველო მოთხოვნილებასთან დაგირავებული ქონების გაყიდვის შიშიც აწუხებს, რადგან სესხის შესატან სარგებელს დანიშნულ ვადაზე სრულათ ვერ შოულობს. მას ამ შემთხვევაში ეჭირვება საკრედიტო დაწესებულებიდან მიუცილებელი დახმარება. თუნდ სარგებლის ნაწილის ცოტახნით გადაუხდელობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის. ამ კლასის მსესხებლები მეოთხმოცე წლების მიწურულში ისე გამრავლდენ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში, რომ რიცხვით ბევრათ მეტი შეიქნენ დიდ და საშუალო მამულიან დამფუძნებელ-მოსესხე თავად-აზნაურობაზე. ამიტომაც იმათ ამ დროს დაიწყეს აქეთ-იქით ცქერა, დაიწყეს მომავალ კრებისთვის ისეთი კანდიდატების ძებნა ბანკის გამგეობის წევრებათ, რომელნიც მათ საჭიროებას საკმაო ყურადღებას მიაქცევდენ, გაჭირვების დროს ხელს გაუმართავდენ, რომელნიც ეცდებოდენ ყოველნაირი შესაძლებელი საღავათები მიეცათ წვრილი აზნაურობისთვის და მოვაჭრე ხალხისთვის, რომ იმათ გაადვილებოდათ თუნდ სარგებლის ნაწილის ასე-თუ-ისე ვადაზე შეტანა და სამრეწველო საალებმიცემო მუშაობის დროს თავისი დაგირავებული უძრავი ქონებაც არ დაკარგოდათ. ისინი ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არ იყვენ კმაყოფილი არც ღიღობერიძეების, არც დადიანის, რადგან ესენი უფრო ფეოდალებს, დიდ-მამულიან მებატონეებს, და შეძლებულ თავად-აზნაურობას სცემდენ პატივს და იმათ უმართავდენ ხოლმე ხელს. ასეთი გარემოება დიდი ხანია შეეინიშნა მათთვის წვრიმალ მრეწავ აზნაურობას და ვაჭრობას. ამათი ინტერესები სხვა იყო, დიდ-მამულიანი ფეოდალების კიდევ სხვა. ამ სახით ბანკის მეკენჭეები კრებებზე ბუნებითათ გაიყვენ ორ დასათ, რომელთა ინტერესები ერთი-მეორის წინააღმდეგნი შეიქნენ.

ერთ დასში მოხვდენ წვრილი აზნაურობა, გამოსული შრომის ასპარეზზე, და ვაჭრები. ამ ვაჭრებს შეადგენდენ უმთავრესათ მეგრელები, იმერლები, გურულები, აფხაზები, ურიები და სომხები. ესენი ყველანი ერთი საზოგადო ინტერესით იყვენ გაჭსჭვალულნი და ამიტომაც მტკიცეთ შეერთდენ, შეკავშირდენ. ასე დაარსდა ერთი ახალი სოფლის მრეწველთა და მოქალაქეთა კლასი, რომელშიაც ადვილათ მოთავსებულიყვენ ყველა ისინი, რომელნიც დადგომოდენ შრომის და მოგების გზას. მეორე დასში მოექცა ძველი მებატონეთა გუნდი, ესე იგი დიდებული გვარის ფეოდალები, დიდი ადგილ-მამულის თავად-აზნაურობა.

მეოთხმოცე წლებში ჯერ კიდევ ესენი ბატონობდენ საადგილ-მამულო ბანკის კრებაზე, ჯერ კიდევ ამათ ინტელიგენციას ჰქონდა ხელში ბანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ეს ღასი, ადრე თუ გვიან, უნდა დამარცხებულიყო, რადგან ახალი კლასი მეკენჭეებისა ვაჭარ-მრეწველთა და წვრილ-მეურნეთა თან-და-თან ძლიერდებოდა ბანკის კრებებზე.

1890 წლის დამდეგს, როცა მოახლოვდა ბანკის არჩევნები, კალლისტრატე ჩიკვაიძე შეიქნა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კამიტეტის წევრათ და თავისი მოქმედებით მალე მიიპყრო წვრილ-მრეწველთა და ვაჭართა კლასის ყურადღება. ეს კლასი სწორეთ ეძებდა ასეთ კაცს საადგილ-მამულო ბანკის გამგებლათ. ამ დროს დიმიტრი დადიანზე ყველანი უკმაყოფილოთ იყვენ. მრეწველ-ვაჭარი კლასი კალლისტრატე ჩიკვაიძეს უფრო მიემხრო, რადგან დიმიტრი დადიანს და მის მომხრე ინტელიგენტებს ვერ ენდობოდა. ის მაგალითათ თუმცა დიდათ აფასებდა თ. კირილე ლორთქიფანიძის საქმიან და გონიერ ლაპარაკს ბანკის კრებებზე, მაგრამ როგორც ბანკის გამგებელი არ უნდოდა:—ეგ, ბატონო, თავისი ბეჯითობით სულს ამოგვართმევსო, ნედლიმკის შეტანას არ გვაცლის და დავირავებულ უძრავ ქონებებს სულ გაგვიყიდისო,—ამბობდენ წვრილი ადგილ-მამულის მსესხებლები და ვაჭრები.—მეტისმეტმა სიწმინდემ იერუსალიმი დააქციაო—დასძენდენ ებრაელები. მაშინ თ. კირილე ლორთქიფანიძის კვალს მიჰყვებოდენ მეოთხმოცე წლების ის ინტელიგენტები, რომელთაც შემდეგ შეადგინეს ესრეთ წოდებული ქუთაისის ოპოზიცია, ანუ კალისტრატე ჩიკვაიძის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი. ამათ მაშინაც ძალიან შორს ეჭირათ თავი მრეწველ-ვაჭართა მსესხებლებისგან. ასეთი იყო გარემოება, როდესაც 1890 წლის ბანკის ამორჩევებზე გავარდა ხმა, რომ კ. ჩიკვაიძე გამოდის ბანკის გამგებლის კანდიდატათო. ამ ხმამ ძალიან გააოცა მაშინდელი დიდმამულებიანი თავად-აზნაურობა, რომელიც, თუმცა არ იყო კმაყოფილი თ. დიმიტრი დადიანზე, მაგრამ მის საწინააღმდეგოთ უფრო სხვანაირ კანდიდატს ეძებდა. ერთი რომ ბანკის გამგებლობაზე საკანდიდატო კაცი უნდა ყოფილიყო ისევ თავადიშვილების გვარიდან, ან და წარსულში დამსახურებული კაცი და იმისთანა მაინც, რომელიც წარსულ ამორჩევებში მეტოქეთ ყოფილიყო ერთ ნაწილ თავად-აზნაურებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა. ასეთი საკანდიდატო კაცები იყვენ თ. კ. ლორთქიფანიძე, დ. ნ. ბაქრაძე, თ. პ. ა. თუმანიშვილი, ლ. თ. ლოლუა და ან სხვები, სულ ძველის-ძველი დამსახურებული მოღვაწეები. კ. ჩიკვაიძეს, როგორც ახალ კაცს, არც მაშინდელ თავად-აზნაურობის ინტელიგენციაში, არც დიდ თავად-აზნაურობაში ფასი არ ჰქონდა, ამათ საკინ-ძლათაც არ ყოფნიდათ ისეთი კაცის კანდიდატობა, რომლის მამა-პაპა თითქმის საბატონო აზნაურშვილის გვარიდან ჩამომავლობდა. ვინ არის ჩიკვაიძე, ვისი შვილია? აზნაურუკასი ბატონო, რა გვეცოდინებაო? ამასვე იმეორებდა მაშინდელი ლიტერატურაში დამსახურებული ინტელიგენცია, მხოლოთ სხვანაირი საბუთების ზედ-დართვით: ვინ არის კ. ჩიკვაიძე, რა დამსახურება მიუძღვის მას ან ლიტერატურაში, ან ჩვენი დიდებული თავად-აზნაურობის წინაშეო. ან კი როგორ იფიქრა „აბლაკატმა" ბანკის გამგებლობაზე კანდიდატობაო? დიდი თავად-აზნაურობა იმას მეტჩარათ თვლიდა, ინტელლიგენცია კი „Parvenu"-ს, „выскочка"-ს ეძახოდა. ყველანი კი დაცინოდენ მის კანდიდატობას. რომ სულ ხალისი დაეკარგვინებიათ ამ ყმაწვილი კაცისათვის კენჭის ყრაზე ბან. ნ. ნიკოლაძემ საოცარი დაცინების სტატია დასტამბა ახალ-მიმოხილვაში: „коль истратилъ пройдешь". ის ამ სტატიაში ერთი, რომ უპატიურათ იხსენებდა კ. ჩიკვაიძის მოჭხრეებს და მეორე თვით ჩიკვაიძეს აბრალებდა შავი ხალხის მოყიდვას. რამდენათაც დიდი თავად-აზნაურობა და მაშინდელი მისი ინტელლიგენცია კმაყოფილი იყო ამისთანა სტატიით, იმდენათ ახალი აღორძინებული კლასი მრეწველ-ვაჭართა და მრავალ-რიცხოვან წვრილ-მამულიან აზნაურთა გაბრაზდა. როგორ თუ ჩვენ „ბრბოს" გვიწოდებენო, როგორ თუ ჩვენ ამორჩეულ კანდიდატს გვილანძღავენო? აბა, ვნახოთ. თუ ასეა, მაშ საარჩევნო ყუთებთან მოვრიგდეთო—იძახოდა ის.

თუმცა ხმები იყო, რომ კ. ჩიკვაიძეს დიდი პარტია ჰყავსო, მაგრამ მის გამარჯვებას მაინც არავინ მოელოდა. ამასთანავე მოწინააღმდეგე ინტელიგენცია ჰფენდა საზოგადოებაში ათას ნაირ ხმებს ახალი კანდიდატის შესახებ. სხვათაშორის ის იმ ხმასაც კი ავრცელებდა, რომ კ. ჩიკვაიძე განხეთქილებას ახდენსო თავადებსა და აზნაურებს შორისო. მართლაც, რაც მრეწველი და მწარმოებელი წვრილი ადგილ-მამულიანი აზნაურობა იყო, აგრეთვე ზოგიერთი მთამადნის მწარმოებელი თავადებიც, ყველა მას ემხრობოდა, ყველა შეერთებულ იყო ახალ აღორძინებულ კლასთან ერთათ ფეოდალურ-ინტელიგენტურ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც აქამდი ბატონობდა ბანკის კრებებზე.

ცხადია რომ ეს განხეთქილება, ეს ორ დასათ გაყოფა ბანკის მეკენჭეთა იყო ნაყოფი უფრო ახალი საარჩევნო-საალებ-მიცემო განვითარებისა, ბუნებითათ წარმოიმდგარი. კ. ჩიკვაიძის პირადი მოქმედება აქ დიდს ვერაფერს გააწყობდა, რომ ეს გარემოება მას არ დახმარებოდა. იმან მხოლოთ აიღო ალღო, სად იყო ძალა და იქითკენ გადვიდა, სულით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით და ჯიბითაც მიეკედლა ახალ აღორძინებულ კლასს, რომელსაც ოპოზიციის ინტელიგენციამ ური გოთ ხელი ჰკრა და შეურაცხჰყო ბ-ნი ნ. ნიკოლაძის სტატიების წყალობით.

ამ სახით კ. ჩიკვაიძის გამარჯვება 1890 წელს საკუთრათ ახალ აღორძინებულ ეაჭარ-მრეწველთა და სამეურნეო-სამთო-სამადნო მწარმოებელთა კლასის გამარჯვება იყო და ძველი ფეოდალური თავად-აზნაურობის დამარცხება მის მომხრე ინტელლიგენციასთან ერთათ. ეს ძალიან კარგათ იგრძნო მაშინ თვით ფეოდალურმა წოდებამ, მეტათ გაბრაზდა და მაშინვე ეტყობოდა, რომ ის ამ დამარცხებას არ შეარჩენდა ახალ აღორძინებულ მეკენჭეთა კლასს. იმან გულში გადაწყვიტა ერთხელ კიდევ შებრძოლებოდა მას სიკვდილ-სიცოცხლით მომავალ 1893 წლის კენჭის ყრაზე. ამიერიდან კ. ჩიკვაიძის მებრძოლ ინტელიგენციას დაერქვა ოპოზიცია, რომელმაც იკისრა გაზეთებში, როგორც კ. ჩიკვაიძის, ისე მისი მომხრეების დამცირება და სახელის წახდენა. თუ რამდენათ ბრძოლის ტაქტიკას მოკლებული იყო ასეთი ქცევა ოპოზიციისა, ამას შემდეგ სტატიაში დავინახავთ.

X

გ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

„კავკაზის“ სიტყვით გაზ. „ცნობის ფურცელი“ შეუძენიათ ბ. ილია ხონელს და ნ. ჯაბადარს. ამათ უკვე უთხოვიათ სადაც ჯერ არს პროგრამის გაფართოება და სახელის გამოცვლა. სახელათ ერქმევა „ფურცელი“. ამ ამბავს ჩვენ დიდი სიხარულით ეგებებით, და მეთაურთ ეუსურვებთ ყოველივე წარმატებას და რიგიან, ცოცხალ და მიუდგომელ გაზეთის შექმნას.

—

ჩვენ გვწერენ: ნიუიორკის ჟურნალში „The Nation“ (№ 1757) დაბეჭდილია პროფ. მორფილის წერილი ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნის შესახებ. ავტორი დიდი ქებით იხსენიებს ამ შრომას და მკითხველთა ყურადღებას მიაქცევს ქართული ძველი მწერლობის მნიშვნელობაზე საზოგადო ისტორიის მსვლელობაში.

—

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. კ. ი. მუხრანსკის თავისი დიდი მამული „მუხრანი“ საუფლისწულო უწყებისთვის მიუყიდია 450 ათას მანეთათ.

—

„ნაძალადევში“ ამ ჟამათ 600 კომლი ცხოვრობს და ამოდენა ხალხს ერთი სკოლაც კი არ მოეპოება. თუ კი პატარა სოფლებშიაც სკოლას აარსებენ, თფილისის ამ ნაწილმა რაღა დააშავა? ქალაქის მოვალეობაა დაკმაყოფილოს ეს აუცილებელი მოთხოვნილება.

—

სცენის მოყვარეთა წარმოდგენა, რომელსაც კ. ნ. ჩოლაყაშვილისა მართავს „ქართული დრამატიული საზოგ.“ სასარგებლოთ, დანიშნულია სახაზინო თეატრში 30 მარტისათვის.

—

მთავრობას გადაუწყვეტია წელს 300 ათასი მან. გადადვას კავკასიაში ძველი გზების შესაკეთებლათ და ახალის გასაყვანათ.

—

14 მარტს თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში და გამგეობის თავმჯდომარეთ ხელ-ახლა აირჩია გ. ს. განძიელი. კრებაზე დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კრების გადაწყვეტილებათა პროტოკოლს არ კითხულობდენ კრებაზეე და ასე წევრი მოკლებული იყო საშუალებას გაეგო, რა ეწერა და ან რა არ ეწერა პროტოკოლში. პროტოკოლის ასეთი „კონფისკაცია“ არ მოეწონა კრებას და დაადგინა გადაწყვეტილებათა რეზოლიუცია მაინც წაკითხულ იქმნას წევრთა წინაშეო.

—

14 მარტს მოხდა ფოთის საურთიერთო ბანკის წევრთა საზოგადო კრება კრებამ აირჩია ბანკის ახალი თავმჯდომარე, თ. ან. ერისთავი. აირჩია აგრეთვე ახალი დირექტორები და რჩევის წევრები. ამათში ქართველი ერთია—გუგუშვილი, ხოლო დანარჩენთა გვარებია: სტავრიდი, სამანდჟი, მაიერი, ავგერინო, აგეტი და ტურკი!

—

გაზ. „კასპის“ სიტყვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ბრძანება გაუცია, რომ ამ გზაზე სამსახურში ალარავინ მიიღონ ისეთი, ვინც რუსული ლაპარაკი არ იცის, ხოლო უკვე მიღებულთა შორის რუსულის უცოდნარი დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან ამ წლის გასულამდე.

—

ბაქოში არსდება ხუთი ქალალდის მოსამზადებელი ქარხანა.

—

პეტერბურგში, „კავკაზის“ სიტყვით, ახალი საქციონერო საზოგადოება შემდგარა, რომლის მიზა-

ნია შავი ზღვის პირის გუბერნიაში მაგარი სასმელების—კონიაკის და ლიკორის—მომზადება. საზოგადოების ძირის თანხაა 400,000 მ.

—

გასულ კვირას თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით. წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა „ცხოვრების გმირი“ და ერთი ეოდევილიც. საზოგადოება ბლომათ დაესწრო და დიდი აღტაცებითაც დაუხვდა მესხიშვილს. „ეაშას“ და გამოძახებას დასასრული არ ჰქონდა. წარმოდგენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინებულათ ჩაიარა. ბ. მესხიშვილმა თავისი დრამატიული როლის საუცხოო თამაშით თითქმის მთელი თეატრი აატირა. ბევრმა ვერ გაუძლო თავისივე ცრემლებს და ფოეში გამოვიდა. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ მხოლოთ ის, რომ ბ. მესხიშვილს შეუწყვეტია წარმოდგენების გამართვა და ქუთაისში დაბრუნებულა. კარგია ვიცოდეთ, რამ აიძულა პატივცემული მსახიობი ასე მოულოდნელათ თფილისიდან წასულიყო.

—

ბ. დ. ნადირაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: გასულ წელს „კვალის“ № 50-ში დაიბეჭდა ქიზიყის დეპოს წევრთა კრების ანგარიში, სადაც ნათქვამია: ძველი გამგეობის წევრს ნადირაძეს 1020 მ. გაუტანია დეპოდან და ღღესაც არ დაუბრუნებიაო. ხოლო იმაზე კი კრინტიც არ არის, თუ რა ეუპასუხე მე. აი ჩემი პასუხიც: ღღესაც ჩემი ხელმოწერილი ვექსილებით აღებული ექვსასი თუმნის საქონელი აღებ-მიცემობს დეპოში, ვექსილებს ვადა გაუვიდა, პატრონები ფულსა მთხოვენ, ამისათვის გთხოვთ გამომიბარეთ ამ ფულში ჩემი ვალი და დანარჩენი ხუთას თუმნამდე—დამიბრუნოთ, რომ მოვალეებს ჩავაბარეო. აქედან ცხადია, რომ მე კი არ მმართებს დეპოს ფული, არამედ დეპოს მართებს ჩემი და კორესპონდენტს კი ეს რაღაც მოსაზრებით გადაუმახინჯებიაო.

—

თფილისში უკვე მიიღეს რუსული ასალი ჟურნალი „Начало“. იანვრის და თებერვლის ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი სტატიები: „შესასებ კაპიტალისტიური ევოლიუციისა“, ს. ბულგაკოვის; „დავა ფაბრიკას და კაპიტალიზმზე“, ტუგანბარანოვსკის; „არტელური ორგანიზაცია ბატონ-ყმობაში“ ვ. სტრუვესი; „რა არის ტენტრის გათხსირება“, ფ. იონოვისა და სხ. ჟურნალი წელიწადში ღირს 10 მ. ნასკვარი წლით 5 მ, სამი თვით 2 მ. 50 კ. გაგზავნით.

წერილი ბათომიდან.

გასულ კვირას ბათომის ქართულ სკოლის დარბაზში ამ სკოლის კომიტეტისაგან მოწვეულმა საზოგადოებამ შეიყარა თავი კომიტეტის მიერ წარმოებულ ანგარიშის განსახილველათ. ეს კრება სწორეთ საინტერესო კრება იყო და, თუ ვინმე ბათომელ ქართველთაგანი დააკლდა მას, ამით მან მოაკლო თავის თავს ერთი საშუალებათაგანი აქაურ „მეთაურთა“ გაცნობისა, მათი მოქმედებისა და მათი სულის კვეთების შესწავლისა. კომიტეტის წევრმა ბ-ნმა. მესხმა თხოვა საზოგადოებას, რომ ანგარიშს სასტიკათ მოეპყარითო. ამას შემდეგ კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ბ-ნი ვოლსკი, იგიც მოემზადა თავმჯდომარის ადგილის დასაჭერათ, მარა კრებამ იფიქრა: ვოლსკი კომიტეტის წევრია, ის პასუხის მგებელია ანგარიშში და მისი თავმჯდომრობა არ ვარგაო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ-ნი დ. კლდიაშვილი. კრებაზე გაცხარებული კამათი გამოიწვია შემდეგმა კითხვამ: მიღებულ იქნას ანგარიში შეუმოწმებლათ, თუ მივანდოთ კომისიას მისი საბუთებით შემოწმება და მერე ჩვენთვის მოხსენებაო. ბ. მ. ნიკოლაძე გაცხარებით ამტკიცებდა, რომ ანგარიში შეუმოწმებლათ უნდა მივიღოთო; კომისიის დანიშვნა—ეს შეურაცყოფაა კომიტეტისა, ივ კომიტეტისა, რომელიც აგერ ექვსი წელიწადია, რაც სკოლას მუქთათ ემსახურებაო; ჩვენ სრული ნდობით უნდა მოვეპვრათ ანგარიშს, როგორიც უნდა იყოს იგიო. უმრავლესობა შემდეგი აზრის იყო: მარტო მშრალი ციფრების წაკითხვა ვერაფერი განხილვაა ანგარიშისო. საჭიროა დაინიშნოს კომისია, შეამოწმოს ანგარიში საბუთებით და მერმე მოგვახსენოს თავისი აზრი ამისთვის დანიშნულ კრებაზეო... ეს არაფრათ ესიამომნა ბ ნ მესხს, რომელმაც წინეთ განაცხადა: ანგარიშს სასტიკათ მოეპყარითო. მეო—ბრძანა მან—რასაკვირველია დაეთანხმები უმრავლესობის გადაწყვეტილებას, მარა ეგ რევიზია, კომისია, კონტროლი რომ მოსაწონი არ არის, ეს კი ცხადიაო. ეს კი მართლა ცხადი შეიქნა კრებაზე, რომ კომიტეტს სარევიზიო კომისია ეძაგება. (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომიტეტის ხუთ წევრში სამი გამოცხადდა: ბ-ნები ექ. ბერძენიშვილი, ი. მესხი და გრ. ვოლსკი. ბერძენიშვილს კამათში მონაწილეობა არ მიუღია და არ შეგვიძლია ვთქვათ: თანაუგრძნობდა რს თავის ორ ამხანაგს მათ აზრებში თუ არა). მიუხედავათ იმისა, რომ კომიტეტს სარევიზიო კომისია ეჯაერება, კრება მაინც თხოულობდა ამ რევიზიას. ამის წინააღმდეგ ბ-ნმა გრ. ვოლსკიმ წამოაყენა ამგვარი კითხვა: აქვს უფლება ყველა დამსწრეს რომ იქონიოს მსჯელობა ანგარიშის შესახებ, თუ მარტო მათ, ვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისათვის ფული შამოუწირავთ და ვისიც სახელი და გვარი ანგარიშის წიგნაკის ბოლოზე არის მიბეჭდილია. მაშ თუ ეს ჰქონდა სათქმელათ ბ-ნ ვოლსკის, რატომ კრების გახსნისთანავე არ გამოაცხადა ეს. ან რას აცხადებდა კომიტეტი ამგვარათ: „ვთხოეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათომელ წევრებს და აგრეთვე უკვლა მათ, ვისაც კი ეინტერესება ბათომის ქართული სკოლის საქმე—მობრძანდენ 14 მარტს ნაშუადღევის შვიდს საათზე ქართული სკოლის დარბაზში ანგარიშის განსახილველათო“. (იხ. „ივერია“ № 52). ცხადია—კომიტეტს არ ჰქონებია სახეში ამგვარი კითხვის დაყენება, როცა საზოგადოებას იწვევდა. ბევრი, რასაკვირველია იმ აზრის იყო, რომ საჭიროა ანგარიშის შესახებ ყველამ იქონიოს მსჯელობა, ყველამ მონაწილეობა მიიღოს ამ კითხვის გადაწყვეტაში და ამგვარათ გადაწყვეტილ საქმეს შედეგიც უკეთესი ექნებაო.—რატომ უარსჰყოფს ამ აზრის კომიტეტი? ნუ თუ ამით სიმართლე დაიჩაგრებაო?—თქვა ერთმა არა „კრახმალ პერანგიანმა“. აქ კი სულ გაუწყდა მოთმინების ძაფი ბ-ნ ვოლსკის და შეჰყვირა ამის მთქმელს: მე შენ ვერ გიცნობ!. შენისთანა მილიონია ქუჩაში!.. მე შენ ხელსაც არ ჩამოგართმევო!.. უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნმა ვოლსკიმ ამ პირს ზნეობა ახდილიც უწოდა. აი, რა მარგალიტ სიტყვებს სროლილობს ბ-ნი „საზოგადო მოღვაწე“!. „შენ ქუჩის კაცი ხარ!.. მე შენ ხელს არ ჩამოგართმევ! .“ გესმისთ!. აი, რით აფასებენ ჩვენი „მეთაურები“ ადამიანის ღირსებას! აი, რა დიდ ფასს დებენ თავის ხელის ჩამორთმევას!. რამ გააწიწმატა კამიტეტის წევრები ვოლსკი და მესხ-? საზოგადოება ეუბნება: ყველამ მივიღოთ მონაწილეობა ანგარიშის განხილვის კითხვაშიო. ვოლსკის ეს არ მოწონს. ის ძალას ატანს საზოგადოებას და ეუბნება: ვისაც ფული აქვს შემოწირული და ანგარიშის წიგნაკის ბოლოზე ვისიც სახელი და გვარი არის მიბეჭდილი, იგინი გადმოეწყოს აქეთ, დანანჩენები გადაიწყოს იქით. ამგვარ კამანდირობაში: ზოგი აქეთ გადმოეწყოს, ზოგი იქით გადაეწყოსო—გამოკრთის საზოგადოების აბუჩათ აგდება, იმ საზოგადოების, რომელიც ანგარიშის განსახილველათ მოწვეულია და მერე კი ვოლსკის გადასაწყობ-გადმოსაწყობათ გადაქცეული. ამ კრებაზე ისეთი არაევინ ყოფილა, რომ სკოლისათვის თავისი წვლილი არ გამოეღოს. დავანებოთ იმათ თავი, რომლებიც თავისი მოქმედებით დიდ შემწეობას უჩენენ სკოლას, და ამგვართა რიცხვი მცირედი არ ყოფილა კრებაზე დავანებოთ ამას თავი მეთქვამბობ, რადგან სკოლის დახმარება ვოლსკისა და მესხის აზრით მარტო ფულით განიზომება. მარა, ეიმეორებ, კრებაზე ისეთი არაევინ ყოფილა, რომ ფულით დახმარება არ გაეწიოს სკოლისათვის. იქ იყო რამდენიმე ბათომელი წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, რომლებიც ყოველ წლიურათ 6 მანეთს იხდიან ბათომის ქართული სკოლის სასარგებლოთ. იქ ისეთი არაევინ ყოფილა, რომ სკოლისათვის გამართულ წარმოდგენებზე, ლატარია ალეგრიზე თუ სხვა ამგვარ სკოლის სასარგებლოთ გამართულ საშუალებებზე არ ყოფილიყოს და მით სკოლისათვის შემწეობა არ აღმოეჩინოს. ჩანს რომ ამათ კი არ უნდა მიეღო მონაწილეობა ანგარიშის შესახებ მსჯელობაში, არამედ მათ, ვინც წიგნაკის ბოლოზე არის მიბეჭდილი. საზოგადოება ისე გადააწყვ-გადმოაწყვეს, როგორც ბ. ვოლსკ-ს სურდა. ამით საზოგადოებამ მეტის მეტ შეურაცხყოფილათ იგრძნო თავი და ბევრმა კრება დატოვა, თუ პირზე ხელის დაფარებას გვიპირებდენ, რატომ გვიწვევდენო. ფულით შემომწირველთა რიცხვი, ე. ი. იმათი რიცხვი, ვინც ანგარიშის წიგნაკის ბოლოზე არის გამოცხადებული, ძლიერ მცირე აღმოჩნდა კრებაზე. სულ იქნებოდა 15 კაცი. ამათაც სარეეიზიო კომისია მოისურვეს. არჩეულ იქმნა ეს კომისიის წევრები და დაეევალა ერთი კვირის განმავლობაში მოახსენონ კრებას თავისი აზრი ანგარიშის შესაებ *).

თაიგული.

ქუთაისი 1898 წ. [1])

ლიბერალური მრავალ-სიტყვაობა — ინტელიგენციის არისტოკრატიული ნაწილი — ბუმბერაზის სურვილი კანონია — ქუთაისის საბჭოში მაღალი - ბ. სეითგიანი და მისი შეფარული ქუთაისი — ქუთათური ქალების გულკეთილობა — დაქსაქსული ასალგაზდობა.

წარსულ 98 წელში ქუთაისი ჯარასაეით დატრიალდა და მთელი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება გარეთ გამოჰფინა. ის ერთიანათ ამოძრავდა და აზვირთდა; ტალღები წამოისროლა და ზედ შემჯდარი დასები ერთმანეთს შეახეთქა. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც მართალია ქუთაისს არ გაცილებია, მარა ქუთაისის მყუდროება კი ძირიანათ დაარღვია; ის აქ დაიბადა, აქ გაიზარდა და ნაირ-

---

*) ამ გვარიგე კორესპონდენციაა შეიდეთ ბათომის წ. კ. საზ. ერთი წევრისაგან. რედ.

[1]) ამ წერილის დაბეჭდვა უადგილობის გამო ძალიან დაგვიგვიანდა. რედ.

ხარება.



ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲘᲛᲐᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲗᲝᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲠᲕᲒᲝᲚᲓᲒᲔᲠᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ. ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲡᲠᲝᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲖᲫᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲐᲒᲐᲡᲣᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲫᲔᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲗ: ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲡ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲡᲢᲐᲥᲐᲜᲡ ᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲘᲥᲘᲡ ᲙᲗᲘᲡᲡ (ᲑᲐᲒᲐᲚᲡ) ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ ᲠᲕᲒᲝᲚᲓᲒᲔᲠᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲙᲗᲘᲡᲡ ᲤᲔᲡᲘ ᲛᲝᲐᲛᲢᲕᲠᲘᲝᲡ ᲢᲣᲒᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲡᲠᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔ ᲛᲝᲒᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ.

ნაირი პარტიები ჩამოასხა, რომლებმაც ერთმანეთის გაცურებაში დიდი ურარი გამოიჩინეს. აქ სრულიად გამოჩნდა მათი სულის-კეთება, მათი ეინაობა და საზოგადო საქმის ცოდნა. ამიტომ თამამათ შეგვიძლია ეთქვათ, რომ ეს 98 წ. — ტიპიური წელიწადია ამ გაჩინოვნიკებულ ქალაქის ცხოვრებაში.

მაშ ჩვენც ავნუსხოთ მოკლეთ ქუთაისის მაჯის ცემა, გავარკვიოთ მისი მოძრაობის და ხმაურობის მიზეზები და მით ნათლათ წარმოვიდგინოთ მებრძოლთა საქმენი-საგმირონი.

97/98 წ. ზამთარში ძალიან დიდი თოვლი მოვიდა, განსაკუთრებით იმერეთში, რის გამო დიდხანს სოფლებიდან სოფლებში, სოფლებიდან ქალაქებში მიმოსვლა შეჩერდა — გზები დაიკეტა და ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. სხვა-და-სხვა კუთხიდან კორესპონდენტები ატყობინებდენ რედაქციებს, რომ, აქ წისქვილები გააჩერა ყინვებმა და მცხოვრებლები მარტო მოხარშული სიმინდით ირჩენენ თავსო; იქ ჩალა-თივა აღარ აქვთ და ხალხი იძულებულია შინაური ცხოველები დაკლას, ხორცს ზოგს ჭამენ, ზოგს კი ამარილებენო, აქ შინაურ ცხოველებს, რადგან უსაკვებოთ ეხოცებათ, კიტრის ფასათ ჰყიდიანო, იქ ხალხს შეშა არა აქვს და სიცივეთ იხოცებაო და კიდევ ბევრი სხვა შემაწუხებელი ამბები ისმოდა.

ამ გარემოებამ, და იმანაც, რომ ქუთაისის ქუჩებში ჩვეულებრივათ გასეირნება არ შეიძლებოდა, აფიქრებია ჩვენ გულ-კეთილ ლიბერალებს, ხალხის უბედურ მდგომარეობაზე რამე სიტყვა წარმოეთქვა. ამისთვის ადგილიც მალე გამოძებნეს, ქუთაისის სამეურნეო განყოფილების საბაასო დარბაზში. აქ მოიყარეს თავი და თავის ამხანაგებში ბევრი თბილ თბილი (ვითომც ხალხის გამაბედნიერებელი) სიტყვები დახარჯეს. ისეთი მოხერხებული ბ ბრძნობით საესე სიტყვების ტალღები აინძრა, რომ ამის მნახველ უცნობ კაცს უნებურათ წამოცდებოდა: ნეტარ ხართ თქვენ, ხალხისთვის ტანჯულნო ქრისტეს მოციქულნოვო.

როგორც „კავალის“ კორესპონდენტი ბ. „ისი“ წერდა ამ საკითხის შესახებ, სამეურნეო, განყოფილების წევრები რამდენჯერმე შეიკრიბენ, რამდენიმე კომისია აირჩიეს, რამდენიმე ოქმი ან შუამდგომლობა დაწერეს, მაგრამ ამით არავის არც კუჭი გამოუძღია და არც გამთბარა. აი, მათი ოქმების და შუამდგომლობის ნიმუშიც: 1) ნუ გადაახდევინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებს სახელმწიფო ტყეებში მოჭრილი ხე-ტყის გადასახადს 97 წ. და ამ იანვრის თვისას; 2) უფასოთ აძოვებინონ ზამთრისაგან დაუძლურებული საქონელი სახაზინო ტყე-მინდვრებში; 3) გადადვან გადასახადების და მათი ნედლეულების აკრეფა და 4) უფასოთ დაურიგონ სოფლის ხალხს სხვა-და-სხვა ბალახეულობის თესლები; კამისიამ იშუამდგომლოს თავად მინგრელსკისთან, რომ მან თავის მამულებში ნება მისცეს გლეხებს, შეშის უფასოთ გამოტანის და საქონლის ძოვებისა. ამას გარდა, გამოვითხოვოთ ხაზინიდან „продовольственные капиталы“, და სხვა-და-სხვა საგურებზე საწყობები გავმართოთ, რომ ხალხს უფრო ადვილათ მივაწოდოთ ჩვენი საშუალებაო. ამასთანავე მეტი კი არა და უსათუოთ საჭიროა, რომ ჩვენი გაჭირვება—შიმშილ-წყურვილი — რუსეთ-ევროპას შევატყობინოთ: „закричимъ на всю Европу“-ო - თქვა ერთმა და მას ბანი მისცა მთელმა კრებამ. ეს იყო და ეს. კამისიები აირჩიეს, ოქმები დაწერეს, „პროგრესიული“ სიტყვები დახარჯეს, ამით ერთმანეთს გული მოფხანეს და მეტათ ნასიამოვნები შინისაკენ წაბრძანდენ. ქვეყანაც აშენდა, გაჭირვებულთ შვება მიეცა და ჩვენი ლიბერალებიც არხეინათ შეუდგენ თავის კერძო-საქმეებს, გვეყო ქვეყნისთვის თავის დადებაო. დაწერილი ქაღალდები, რასაკვირველია, ყველა თაროზე დაალაგეს და ობ-მოკიდებული დღესაც იქ ალაგია. ამას არავითარი საქმე არ მოჰყოლია, არავითარ განხორციელებას არ ღირსებია. სამაგიეროთ იმათ სხვა რამე ისაქმეს, რაზედაც ახლა გადავალთ.

4 მაისს 97 წელს „ქუთ. ამხ. მეაბრეშუმეობის და ფეიქრობის“ პირველს კრებაზე თავმჯდომარემ შემდეგ სიტყვებში გამოხატა ამ საქმის დამწყების ხასიათი და მისი მნიშვნელობა: „ფეიქრობისა და მეაბრეშუმეობის საქმე, მისი დიდი მომავალი ⁄ მოგებიანობა თავის წევრთათვის, და დამაკავშირებელი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა დაბა—ქალაქების და სოფლების ძწარმოებელთა ერთ საქმეში და ერთ საწარმოო მოქმედებაში ერთობით შედგომა, სანატრელია... ბ. არტემ ანჯაფარიძემ თავის მხნეობით, ერთათ-ერთი პირადი ენერგიით და ნიჭით იმდენი გააკეთა, რომ ხელოსნობის, ფეიქრობის და მეაბრეშუმეობის საქმე ფეხზე დააყენა. და, აი, ახლა ამხანაგათ გვიწევს ულლის გასაწევათ... და ჩვენც ეჭვი არაა, გავიგეთ რა სარგებლობა და მიზანი მის მოქმედებათა, არ ჩამოვურჩებით უკან, მივცემთ შემწეობას, ესე იგი, მოვუპოვებთ ჩვენ გარეშე სხვებსაც თანამგრძნობელთ ამხანაგთ“. (იხ. კრების „ოქმი“). ოქმზე 32 წევრს უწერია ხელი. ამ ნაირი აღტაცებით შეუდგენ ქუთაისში მეაბრეშუმეობის საქმის გამოწყობას, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ასეთი აღტაცება ერთი თვის, ერთი კვირის ან დღის ნაყოფი ყოფილიყოს. თუ არ ვცდები, წელიწად ნახევარზე მეტი იმუშავა ამ კითხვის გამოსარკვევათ ქუთაისის ინტელიგენციის არისტოკრატიულმა ნაწილმა და დაასკვნა ის, რომ ეს საქმე სასარგებლო საქმეა და ბ. არ. ანჯაფარიძის „საზოგადოებრივი“ (!!), ენერგიული და უანგარო (?!) მოქმედება ეჭვს გარეშეა“.

სამეურნეო განყოფილებამ თავის მხრივ საჭიროთ სცნო სამინისტროში შუამდგომლობის გაგზავნა, რომ, რამდენიმე წლის განმავლობაში ბ. ანჯაფარიძეს საფეიქრო სკოლის შესანახათ სამინისტროს სუბსიდია დაენიშნა. რაღაც მანქანებით შუამდგომეობა სამინისტრომ მიიღო და სკოლას წელიწადში (მგონია 5 წლის განმავლობაში) 600 მანეთი დაუნიშნა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ეს საქმე დარბაზიდან მალე ქუჩაზე გამოვიდა და მის პირველ მეთაურათ თ. პ. თუმანოვი იქნა არჩეული, უფროს დირექტორათ ბ. კ. ბაქრაძე, დირექტორებათ ბ. მიქიაშვილი და ძოწინიძე. მმართველათ თვითონ ამ საქმის ინიციატორი ბ. ანჯაფარიძე. ამ გზით შედგა ხსენებული ამხანაგობის მართველობა. ამათგანი ვინც უნდა ყოფილიყო, დაბეჯითებით გეტყოდა, რომ საქმეს „დიდი მომავალი და გამგებიანობა“ მოელის. თუ ისურვებდით ამას საბუთებითაც კი დაგიმტკიცებდენ. აი, შეხედე, პარკმა რამდენი მოგება მოგვცაო! ფეიქრობის საქმე კი, რადგან ჯერ მოგებას არ იძლევა უნდა შევაჩეროთ, საქმეში ცოცხალი ანგარიში უნდა გავატაროთ, ყოველ ნაბიჯზე წესიერება უნდა დავიცვათ, თვარა დავიღუპებითო. მარა თითოეულს თავისი შეხედულობა ჰქონდა საქმის წაყვანაზე. ამას თან მოჰყვა ერთი-მეორის მოქმედებაში კრიტიკული აზრის შეტანა. შენ საზარალოთ მოქმედებ, შენ სპეციალისტი არა ხარ, შენ ანგარიში არ იკი, საქმის უეიცი ხარო და სხვ....

ი. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.

(შემდეგი იქნება)

კვირიდან კვირამდე

„ცარიელი სიგრცე“—შიმის თვალები—„სიბრძნის კარები“ - темная сила — ისტორიული თვის მოკლე — საოცარი ამბავი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲭᲙᲔᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ“ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲛᲐ. ᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ

კითხულობს, სად იმყოფები, რა რჯულის ხარო, და ბოლოს რწმუნდება რომ „ცალიერ სივრცეში“ ყოფნა შეუძლებელიაო! ოღონდაც რომ შეუძლებელია! სად არის მერე ეს „ცარიელი სივრცე“? სად და ყოველგან, სადაც მე, კალისტრატე და ქუთაისის ბანკი არ არისო—გვარწმუნებს „ჭკვიანი კაცი“. რა ვქნათ, ჭკუა მაშ რის ჭკუაა, თუ მას არ დავუჯერეთ; და, აი, ეუჯერებთ ჩვენც ბ. მაიაშვილს, რა გაეწყობა ხელის ძალა თუ აღმართსა ხნავს, გონების ძალა ხომ აღმართს დაღმართთან მაინც გაასწორებს; და, მას შემდეგ, რაც გაზეთის ფურცელზე მან უარჰყო ყოველივე „სივრცე“ თვინიერ ბანკის სივრცისა, უეჭველია იმას ცხოვრებაშიაც უარიეყო და დარჩა მთელი ქვეყანა ბანკის ამარა. და ასე „სივრცემ“ მოიპოვა თავისი ნამდვილი სივრცე—ბანკი (და ისიც უთუოთ ქუთაისის, არ დაგავიწყდეთ), ბანკმა შთანთქა ყველა არსებული, თუ არ არსებული კითხვა და თან ჩაიყოლია ყველა ნამდვილი, თუ მოსალოდნელი პარტია... ამათ შორის თურმე ჩვენც ვართ, ძალიან კი გვინდა არ ვიყოთ, განზე გავსხლტეთ, მარა ვინ განებებს თავს, აქ, აქ მობრძანდიო, აქ უნდა იყოვო, თუ არა და იცოდე, აღარსად არ იქნებიო—გვემუქრებიან ქუთაისიდან. შიში შეიქმს სიყვარულსაო, ნათქვამია და ეს არის. ჩვენც უნდა შევიყვაროთ ქუთაისის ბანკი მისი კალისტრატ-ოპოზიციით.

***

შიშს მართლა და დიდი რამ შეძლებია; ეს ხომ მაინც ყველამ იცის, რომ მას დიდი თვალები აქვს. და, აი, ეს თვალები „ახალ მიმოხილვის“ რედაქციას სათვალებათ გაუკეთებია, მერე ცხვირზე წამოუდვია და თფილისიდან ქუთაისისაკენ გაუჭერეტია. რა ამბები არ დაუნახავს ამ ახირებულ სათვალეში! ამას ენა და პირი ვერ იტყვის. ამდენი საარაკო საქმეები მგონი თვით „კავკაზის“ „ბინოკლსაც“ სიზმარშიაც არ მოჩვენებია. არა, „ახალ. მიმ.“ შიშის თვალები საოცარი რამ თვალები უნდა იყოს. პირველ ყოვლისა მას, რასაკვირველია, ბანკი დაუნახავს და ის პარლამენტათ მიუღია, მისი მართველი კ. ჩიკვაიძე—დერულედათ, რიონი—სენათ, ბულვარი, „თანხმობის მოედნათ“ თუმცა „განხეთქილების მოედანი“ უფრო უხდება—და მთელი ქუთაისი კი პარიჟათ. „პლებისციტი“, „ბონაპარტიელი“ და სხ. და სხ. სულ პანტასავით ყრია თურმე ამ ახალ აღმოჩენილ პარიჟში. და სადაც ამდენი ამბებია, იქ რასაკვირველია ერთი ჟორესი და რამდენიმე დრეიფუსი მაინც იქნება. დრეიფუსისა კი რა მოგახსენოთ, ხოლო ჟორესი უთუოთ „ჭკვიანი კაცი“ იქნება. ასე გადმოგვკრა „შიშის თვალებმა“, თუმცა ეს თავისი აღმოჩენა ჯერ-ჯერობით პირ-და-პირ ვერ აღიარა, [illegible] რა სიბრძნე მოაპნია „ახალ. მიმ.“ ხუთშაბათ დილას! ვინ არ იწამებს ამიერიდან, რომ შიში კალისტრატისა არის დასაბამი სიბრძნისა...

***

მარა ამ „სიბრძნეს“ ერთი საიდუმლო კარები აქვს. შეაღებთ მას თუ არა, მაშინვე ჰქრება ეს ძვირფასი თვალით გამოტანილი „სიბრძნე“ და იმერეთის პარიჟიც ისევ ჩვენ ნაცნობ ქუთაისათ იქცევა. ეს სწორეთ ძალიან სასიხარულოც უნდა იყოს. ქუთაისი ქუთაისათ მინდა ვიგულო და არა სხვა რამეთ. მაშ შევაღოთ „ახალ. მიმოხ.“ სიბრძნის კარები. ჩვენ ვამბობდით: ქუთაისის ოპოზიციას თავი ისახელა იმაში, რომ „ბრბოს“ უფლების წართმევას შეეცადა, რასაც არსად არავითარი მოწინავე პარტია არ შერება. „ახ. მიმ.“ კი გვიგებს, რომ მაშ დერულედი და ბონაპარტიელები ყოფილან მოწინავე პირები, რადგან ისინი „ბრბოდან“ გამოელიან შველასო. მარა აქ მას დავიწყებია პატარა რამ, სახელდობრ—ესენი სწორეთ იმას ცდილობენ, რომ „ბრბოს“, ხალხის უფლებები წაართვან და ყველგან „გოროდოვოი“ ჩაუყენონ, სწორეთ ისე, როგორც ქუთაისის ოპოზიცია აღიარებს: ყარაულია საჭიროვო! მაშასადამე „ბონაპარტიელები“ ჩვენში თუ სადმეა—ეს ისევ „ახ. მიმოხილვის“ ნაქები პარტია უნდა იყოს. და ჩვენც სწორეთ ამიტომ, შეგვაქვს ეჭვი მის მოწინაეობაში. [1])

***

არა, „ახ. მიმოხ.“ უჯობს არგუმენტებს ისევ თავი დაანებოს და მკითხაობა განაგრძოს. ამაში კი მოკეცათ სიცოცხლე ბადალი არ ჰყავდეს, მასთან შედარებით ცნობილი კოდელი ნინოც კი სირცხვილს ჭამდა, რომ ცოცხალი იყოს. ქუთაისის არჩევნები წააგო ინტელიგენციამ, იმიტომ რომ იქ რაღაც „темная сила“ დატრიალდაო—მკითხაობს გაზეთი 13 მარტის ნომერში. ეს „сила“ რომ არ იყოს, ამდენ ხანს საქმეც გაიჩალხოდა და ბანკის ბედ-ღბალიც ძირიანათ შეიცვლებოდაო. აი, რა ადვილათ და სადათ ხსნის „ახ. მიმოხ.“ საზოგადო მოვლენას. ეს ძალიან მაგონებს ერთ ღვთის მეტყველს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ახლა სარწმუნოება იმიტომ დაეცა, რომ ხალხს ეშმაკი შეუჯდა და აბრიყვებსო. ერთი ასეთი ეშმაკი უთუოთ იმერეთის

---

[1]) ერთი კითხვა „ახ. მიმ.“ რედაქციას: რატომ ნ. ჟორდანიას წერილი, წინასწმეტ ავტორის სურვილისა და რედაქტორის დაპირებისა, შემოკლებით დაბეჭდ? ასეთია სარედაქციო ეტიკა?...

თავად-აზნაურობასაც შეჯდომია და აბრიყვებს.... ჰოი, გულ-უბრყვილობავ!...

***

ეშმაკისა რა მოგახსენოთ, და რაღაც ხილულ მაცდურს კი იურიევის სტუდენტები გაუბრიყვებია. შარშან იმათ თავი ისახელეს მითი, რომ ტარიელ-მკლავაძის „კულტურა“ იურიევში გადაიტანეს და ეს საქართველოს კულტურათ გამოიტანეს. ამ „კულტურის“ გამოსაკვლევათ იქ 21 კაცი გამგზავრებულა და აგერ ნახევარი წელიწადი, სწავლის მაგიერ, ეს უძიებიათ. ბოლოს ეს თავისი ხელობა დაუმთავრებიათ იმით, რომ მკლავაძის „კულტურა“ ნამდვილი ჩვენი კულტურაოო და ქართველთა სანუგეშებლათ ეს „ევერიას“ გამოუქვეყნებია. რაღა გვიჭირს აწი! ჩვენს ბედს ვისი ბედი შეედრება! მარა ამ მკლავაძის მოტრფიალეთ ერთი სამაგალითო ტყუვილიც გამოუცხვიათ და თავის „ვანჩინების“ დამატებათ გამოუშვია. ეს 21 კაცი შეუდრკელათ ამბობენ: შარშან ბ. გ.—ი. „კვალში“ წერილი დასტამბა „ამ წერილის გასაბათილებლათ დორპატის ქართველ სტუდენტებმა „კვალს“ წარუდგინეს წერილობითი საბუთებიო...“ აბა, ამოდენა ტყუვილის მამგონს რაღა უნდა მოეთხოვოს! საქმეც იმაშია, რომ ვერავითარი საბუთი, ვერავითარი „პასუხი“ ვერ გამოგზავნეს იურიევის „მკლავაძეებმა“ და ამით დაამტკიცეს ის, რაც „კვალში“ დაიბეჭდა. ახლა კი გამოსულან 21 სტუდენტი და გაზეთის საშუალებით ასეთ საოცარ ჭორს არხევენ; რაღა გასაკვირველია, ასეთი ხალხი „პასკვილებსაც“ წერდეს და თავის დროს ამაში ატარებდეს. ჩვენ კი კიდევ გვგონია, რომ ასეთ „საგმირო“ საქმეებში იურიეველთ არ დაეთანხმება დანარჩენი სტუდენტობა და მით თავიდან აიცილებს ამ ისტორიულ თავის მოჭრას.

***

ამდენ უსიამოვნო და თან საოცარ ამბავს შორის ერთი სასიამოვნო, ამასთანავე კიდევ უფრო საოცარიც მოვიხსენიოთ. ამ ჩვენ უბადრუკ ქვეყანაში, სადაც ბანკების გარეშემო ამდენი თავის მტვრევაა, ყოფილა ერთი ბანკირი, რომელიც თავის ნებითვე „საბანკო დიდებაზე“ ხელს იღებს და სხვას უთმობს ადგილს. აი, მაგ. რა თქვა ფოთის „საურთიერთო ნდობის“ გამგემ 14 მარტის წლიურ კრებაზე: „მე თუმცა კანონით კიდევ ვადა მაქვს ბანკის მმართველობის თავმჯდომარეთ ყოფნისა, მაგრამ თავს ვანებებ, რადგან ბანკის საქმეს თანამედროვე ცხოვრების შესაფერათ სულ სხვა მცოდნე კაცი უნდა, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს და წინ გაუძღვეს“ („ივ.“ № 58). აბა, მოდი და ნუ გაოცდები! ის რომ ქუთაისში ან თფილისში ყოფილიყო, იმდენ დავი დარაბას ასტეხდა, რომ თავის არჩევისათვის მთელ ამერ-იმერეთს შეძრავდა, ოპოზიციებსაც გაიჩენდა, მოწინავე პარტიებიც ხელათ გამოიჩიკებოდა, „ორი სამი, ჭკვიანი კაცი“ სახელსაც გაიკეთებდა და სხ. და სხ. და მერე დიდი რიხით გადმოგვძახებდენ: აბა, რას ფიქრობთ ბ. ალანიას შესახებო? მარა მადლობა ღმერთს, ამ კაცმა გვიხსნა ხათაბალისაგან, შეიბრალა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოღვაწენი და ისე წყარათ გაუდგა თავის გზას, როგორც მოვიდა...

თვალები.

ნახე თვალები მოელვარენი,
მათგან ჭეშკენოდა ვაკვ-არენი;
ნახე და თვალი, გითხრათ მე სწორე,
იმათ შვენებას ვერ გაგუსწორე!..
მათი ციმციმი, ქვეყნის მაშვენი,
გრძნობის, გონების ცხმდე მაშენი
მომხიბლველ ნექტრათ გულში მწვდებოდა
და თავისკენ მეზიდებოდა...
მით შვების ცრემლი თვალთგან მდენია
და მე ის დღემდე გულს ჩამრჩენია!..
დავვარგე სატრფო! მას ველარ ვხედავ!
და შენ, ტიალო, მეხთალო სევდავ,
გრძნობას მიჩლუნგებ და გულს მითრთვილავ
მით რომ მას ქვეყნათ ველარ ვიხილავ!..
„ველარ!“ ოჰ, ბევრა შხამში ნალესი,
გულის სიღრმიდან ამონაკვნესი!..
და ვერა, ვერც თქვას იგი ენამ,
რაც მე იმისთვის ცრემლი მენამ!..
მარა... შორს, სევდავ! შორს, შორს ჩემგანა!
შენ გემორჩილო კიდევ მე განა?!
არა და არა! ათასჯერ არა!!
რაც გემორჩილე, ეეოფ, კმარა! —
როს „იგი“ ვნახე სხვა მოტიმციმე,
შემიმსუბუქდა მით ტვირთი მძიმე...
და მით ვსულდგმულობ მე დღეს მწუხარე,
რომ ქვეყნათ ერთსელ მეც გავიხარე!..

დ. თომაშვილი.

პასუხი დორპატის (იურიევის) სტუდენტების ცილისწამებაზე.

ბატ. „ივერიაში“ ისე ხშირათ იბეჭდება ჩვენზე ლანძღვა გინება, რომ მომეტებული ნაწილი მათგანი ყურადღების ღირსათ არ მიგვაჩნია; მაგრამ დორპატელი სტუდენტების სინკლიტის წერილმა სწორეთ, ძალიან გაგვაკვირვა. თურმე ახლათ მისულ 21 სტუდენტს ექვსი თვის განმავლობაში სულ ის უკვლევიათ, თუ ვინ არიან დამნაშავენი შარშან გამართული ქართული საღამოს უწესოებაში. ეს 21 ვაჟბატონები რიხით ბრძანებენ: „ამ წერილის გასაბეჭდად („კვალში“ დაბეჭდილი გ. ი. კორესპონდენციის შესახებ უნდა ვიგულისხმოთ) დორპატის ქართველ სტუდენტებმა „კვალს“ წარუდგინეს წერილობითი საბუთები და აუხსნეს საქმის ვითარება, რაც რ. დაქტიამ ფრთხილის სიფაქიზით განიხილა თვისთა ზედუდეთა მოსრის. იმა თუ არა „ნამდვილის მსჯავრის დამდეს“ რედაქციას თვისის კორესპონდენტის გაბაითილება, მაგისი რა მოგახსენოთ, მხოლოთ ამას კი თამამათ გეტყვიო, რომ რედაქტორმა ბოდიში მოიხადა, სწუხდა ჩვენმა კორესპონდენტმა განწირტილსაზიანმა შეცდომაში შეგვიყვანაო“.

ზემომოყვანილი სიტყვები მტკნარი სიცრუეა. რედაქციას არც ვისმეს წინ ბოდიში მოუხდია ❤ არც რაიმე საბუთი მიუღია კორესპონდენტის წერილის დასარღვევათ. მართალია ბატონი სტ. ყაზახაშვილი ბრძანდებოდა ორჯელ რედაქციაში, მაგრამ მის ლაპარაკიდან ჩანდა, რომ უფრო აინტერესებდა მას კორესპონდენტის სახელის გაგება, ვიდრე საბუთიანი პასუხის დაწერა. მეცა და რედაქციის თანამშრომლებმაც ერთ ერთხელ შევუთვალეთ სტ. ყაზახაშვილს და მის ამხანაგებს, მოიტანეთ საწინააღმდეგო პასუხი და ჩვენ დიდი სიამოვნებით დავბეჭდავთ თქო.

კიდევ ვიმეორებთ რომ რედაქციას არც მაშინ და არც ახლა არ მიუღია საპასუხო წერილები დასაბეჭდათ, მხოლოთ მოგვეგზავნა მათგან სხვა-და-სხვა დროს შემდეგი:

1) პირველი ჯგუფის შესახებ წერილები, რომელთაც დღემდის არ ებეჭდაედით.

2) 27 სტუდენტის ხელმოწერილი თხოვნა, რომ გაზეთი „კვალი“ ეგზავნებოდესთ კერძო სახელით (ჩხენკელს) და არა უნივერსიტეტში

3) ექვსი კაცის ხელმოწერილი წერილი, რომლითაც გვთხოვდენ „კვალში“ დაბეჭდილი კორესპონდენციის დასამტკიცებელი წერილობითი საბუთი გაქვთ გამოგვიგზანეთო! ამის პასუხი გაეგზავნათ კიდეც.

4) კიდევ მივიღეთ პასკვილი, ჩემი და ჩემი რედაქციის დაცინვა. ეს პასკვილი შეინახება რედაქციის არხივში, როგორც დორპატის ახლანდელი სტუდენტების დამახასიათებელი საბუთი.

რედ. ინსტასია წერეთლისა.

პირიმზე

რომანი

ნაწილი I.

ბატონ-ყმობის დრო.

XI.

(გაგრძელება) *)

ვეირა დილა შეენიერი გათენდა. მზემ ოქროში გაფერა ბაკურიძის განიერი ეზო. სხივები დილის ცვარში გაიბნენ და მწვანე ბალახის ყურებზე ალმასის კუნწულები დაეკიდა. ბაკურიძე დიდ ფაცა-ფუცში იყო. ბაკურიანის სოფლის დღეობა იყო და რევაზიც ბევრ სტუმრებს ელოდა იმ დღეს. მოურავი შიუკა ბოსელს უკან როდამ კვესაურის ძროხას ატყაევებდა; ბოსლიდან კი ხანგამოშვებით მოისმოდა ხბოს ბღავილი; ის თითქოს გრძნობდა თავის სიობლეს და რაც უბედურება დატყდომოდა მას თავზე. —იფ, ძაან საჭმელი ხორცი აქვს ამ დალოცვილს, რა მსუქანი ყოფილა! ხბოიანი მეწველი ძროხა და ასე მსუქანი მე ჯერ არ მინახავს!—ამბობდა შიუკა მოურავი. სხვა მოსამსახურეები მის გარშემო ფართიფურთობდენ: ვის წყალი მოჰქონდა ჩაფით და დიდ საარაყე ქვაბს ავსებდა სამზარეულოში შუა ცეცხლზე, ძროხის ჩასადგმელათ, ვინ ძაღლებს უგერებდა დაკლულ ძროხას, ვის ასო-ასოთ აქნილი ძროხის ხორცი მიჰქონდა მარანში და იქ გრილათ ჰკიდებდა ხის ბორჯღლიან კაკვებზე, ვინ ძროხის ტყავს ჭიმავდა გასასხეპათ და გასახმობათ, აქვე ორი მოახლე ძროხ-ს შიგნეულს ხვევის წყალში ასუფთავებდა მოსახარშავათ, თანაც ერთმანეთს ელაპარაკებოდენ: ქალბატონს და გიტოს ძალიან უყვართ მოხარშული წელები და ფაშვებიო.—გიტოს უფრო ღვიძლზე და გულზე მიუდის სულიო.—ქალო, ცხრა წიგნა კარგათ გადაფურცლე, შიგ არა გამოგრჩესრა, თვარა მაგ წყეულში მიმალვა იცის უწმინდურობამ; მერე ხომ იცი, ქალბატონი რა გულზიზღიანია, თუ შენიშნა რამე—ძაე დღეს დაგვაყენებს.—ეუბნებოდა ერთი მოახლე მეორეს.

ნაგაზები, წევრები და მეძებრები მისეოდენ და-

---

*) იხ. „კვალი“ № 11

ღვრილ სისხლს და სლაქაედენ; ზოგს ნაწლეევების ნაწყვეტები გაეტაცნა, ზოგი ბუშტის ნაგლეჯებს შეექცეოდა; ხან-და-ხან ერთმანეთში ჩხუბიც მოუვიდოდათ, ხორხალს და ღრიანცელს შექნიდენ, მაგრამ იქვე იდგა მეკურდღლე ბიჭი, ყურს უგდებდა, რომ მწევრები ნაგაზებს არ გაექციათ. ბაკურიძე დადიოდა აივანზე და ხშირ-ხშირათ უძახოდა ხან ერთ მოსამსახურეს და ხან მეორეს, ყველას აფრთხილებდა და ყოველნაირ თავდარიგს ახდენდა. იმ დღეს, სულ ცოტა რომ ეთქვათ, ორმოც კაცს სტუმარს მაინც მოელოდა, რადგან იმ დღეს მარიამობა იყო და ბაკურიძე ყოველ წელიწადს იხდიდა ამ ღღეობას.

ანასტასია ბაკურიძისა ირთვებოდა თავის ოთახში; ჯერ წირვის მოსასმენათ ემზადებოდა და მერე წირვიდან სტუმრებს ერთიანათ გამოუძღვებოდა სახლში. რევაზმა გასცა ბრძანება, დღეიდან გვრიტიას პირიმზე დაუძახეთო. გვრიტია აღტაცებაში იყო, რადგან დღეიდან იმას ბატონიშვილს არქმევდენ შინ მოსამსახურეები ⁄ დედმამა კი ნათლიის სახელს—პირიმზეს. ის დღეს პირველათ იცვამდა ახალ შეკერილ წითელ ყანაოზის კაბას, ქარიაულათ გულამოჭრილს. დღეს მას ცალკე ცხენს უკაზმავდენ წითელი მოქარგული ასლით, ჟღარუნა ვერცხლის ლახტით მორთულს. ის მეათე წელში გადადგა და მამაც შემოდგომაზე უპირებდა ქ. ქვიანას საქალებო სასწავლებელში მიბარებას.

წირვის დარეკეს და ზარების ხმა ოდნათ შემოესმა ანასტასიას, რომელმაც აღაპყრო თვალები ღვთისმშობლის ხატისკენ, გამოისახა საოებით პირჯვარი და წაიბუტბუტა: „მესმა, უფალო, ხმა შენი და განანათლა გონება ჩემიო“.

— დედა, წირვის დარეკეს, წირვის!—შამოვარდა ამ დროს ოთახში მორთული და გამოკაპწიავებული პირიმზე. ის ძალიან შეენოდა წითელ ყანაოზის კაბაში, თავზე ოქროთი ნაკერი ბლონდის ლეჩაქი აფხაზურათ ჰქონდა გაკეთებული. სქელი წაბლის ფერი თმის კაეები ყურებზე ჰქონდა გადახვეული და შეენიერათ ახამებდა მის გაბდღიალებულ სახეს.

— ანასტასია, თუ გინდა წირვაზე წასელა, ბარემც გამობძანდი! — მოისმა რიხიანი ხმა ბაკურიძისა. —ცხენები და მხლებლები გიცდიან.

მართლაც, ეზოში იდგა ბარე თორმეტიოდე შეკაზმული ცხენი. ზოგი ასლებიანი და ლახტებიანი ქალებისა, ზოგი ვერცხლით მოჭედილი უნაგრებით. ბაკურიძეს წინ-და-წინ მოსელოდა მახლობელი ნათესავები და სახლის-შვილები; მორთული ქალი და კაცი გამოეფინა აივანზე. მათ წინ მოუძღოდა ანასტასია ბაკურიძისა, ოქრომკედით მოქარგული წითელი გულისპირით, ქართულათ მორთული; ტანზე ეცვა ხაერდის ქათიბი, მდიდარ თავსაკრავზე წინ ებნია ორი თხილის სისხო მარგალიტის თავებიანი ქინძისთავები. ლეჩაქ ზემოთ ეხვია თეთრი ბაღდადი და პირი სამგზავროთ აკრული ჰქონდა. დედას წინ პირიმზე მიდიოდა, უკან მოდევდენ ბაკურიძის სახლისშვილი სტუმრები ამალათ. მასპინძლები და სტუმრები შესხდენ ცხენებზე და გაემგზავრენ. პირიმზეს წინ ფარეში მიუძღოდა, რომელსაც ცხენის აღვირზე ჰქონდა ხელი ჩაკიდებული, რომ ცხენს ყმაწვილისათვის თავი არ წაერთმია. იმ დროს „სედლოები“ ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო და ქალები კაცურათ ისხდენ ანჩახებში. პირიმზეს დიდებში მოჰქონდა თავი და მხარულებისგან ალარ იყო, ხშირათ ჭიმავდა თავს ცხენს, რომ რახტის ფიფინაქებს გაეჟღარუნებინა, რაც მას ძალიან ართობდა.

შინაურ-გარეულები დიდი ხანია ჭიშკარში გავიდენ და ხშირ ტყეს ამოეფარენ. რევაზმა მხოლოთ ახლა მოითხოვა პირსაბანი წყალი და მასთან ოჯახის დალაქი იახლა წვერის გასაპარსავათ, შემდეგ გამოეწყო თავის ნიკოლოოზის დროის მაღალ წითელ-საყელოიან ყურთმაჯებიან მუქი მწვანე ფერის კაბაში, რომელსაც მხრებზე ცოტათ გახუნებული ჯინჯილებიანი ყვითელი ეპოლეტები ესხა, მოითხოვა ბედაური; შიუკას ერთხელ კიდევ მისცა თავდარიგი; მოურავმა ცხენის სადავე დაუჭირა და აბჟანდი დაუწია; ამ სახით რევაზ შეხტა ლურჯაზე და გაემართა ჭიშკრისკენ. განიერი ფაფანაკი ოთხკუთხათ ეფარა კეფა გამელოტებულ თავზე, რომელსაც უკან კინჩხზე მოჰკიდებოდა რამდენიმე გაჭაღარებული და დახუჭუჭებული თმის კულულები.

— ბიჭო! — შეჰძახა რევაზმა, ჰკრა ქუსლი ცხენს და გაეშურა ჭიშკრისკენ. —ქესა-ყალიონი არ დაგავიწყდეს.

ბიჭი გამოეკიდა ქვევითათ ცხენოსან ბატონს გძელი თუთუნიანი ქესით, რომელშიც ჩადებული იყო გძელტარიანი ყალიონი.

ბაკურიძე რომ მივიდა საყდარზე, წირვა დიდი ხნის გამოსული იყო. გალავანი გაჭედილი იყო მოდღესასწაულე ხალხით. საქალებოს წინ ბეგზე გადმომდგარიყვენ თავადიშვილის ქალები და უცქეროდენ ხალხის მხიარულებას. მათ მოშორებით საყდრის განის კარებთან შექუჩებულიყვენ აზნაურები. რეაზ შემოვიდა თუ არა საყდრის გალავანში, ხალხმა გზა მისცა. „ბაკურიძე მოდ̀ძანდაო“!—გაისმა ხალხში, რომლის მომეტებული ნაწილი მისი ყმები იყვენ და ყოველ მხრით უკრავდენ თავს. ბაკურიძე ცხენ და ცხენ მივიდა საყდართან, სადაც მოგროვილიყვენ სხვა-და-სხვა ოჯახში სტუმრათ მოსულნი თავად-აზნაურნი, ჩამოხტა ცხენიდან, რომელიც თავის ხლებულს მიაბარა და პატივისცემით მიესალმა საზოგადოებას, რომელმაც თავის მხრით მადლობა გადაუხადა და დღესასწაული მიულოცა. შემდეგ ბაკურიძე შევიდა საყდარში, ცოტა ხანს იდგა ღვთისმშობლის ხატი. წინ, ტუჩებს ანძრევდა, თვალებს ზეცისკენ აპყრობდა, პირჯვარს იწერ და და მუჭს გულში იბრაგუნებდა, ეტყობოდა, რომ გულ-მოდგინეთ ევედრებოდა თავის სალოცავს. შემდეგ ემთხვია ხატებს და გამოვიდა გარეთ.

საყდრის გალავანში დიდი მოლხენა იყო. ზოგან ფერხული იყო გამართული, შიგ ჩაბმულიყვენ ქალი და კაცი და იმღერიდენ „ორი დელა, შემოუარეთო“. ზოგან ჯგუფ-ჯგუფათ იდგენ ქალები და კაცები, ტაშს უკრავდენ და საცეკვარს იმღეროდენ, იქვე წრე გაეკეთებინათ და ქალ-ვაჟი თამაშობდენ. ერთგან ჯირითი გაიმართა. თავად-აზნაურობა გაიყო ორ ნაწილათ და ერთი მეორეს იწვევდენ ცხენ-და-ცხენ ჯირითში. ერთი მხრიდან გამოაჭენებდა ახალგაზდა ცხენოსანი და მსწრაფლ უკან გაიბრუნებდა ცხენს, მას გამოეკიდებოდა მეორე და სტყორცნიდა ჯირითს, პირველი ცდილობდა, ნატყორცნი ჯირითი აეცილებინა თავიდან; ხშირათ მოხდებოდა, რომ უკან გამობრუნებული და გაქცეული ცხენოსანი უცბათ მოუტრიალდებოდა თავის მდევარს და ესროდა ჯირითს. ამ დროს გატარებაში მოხდა ერთი უბედურება; თავადმა მხეციამ თავად ჩაფხუტაძეს ჰკრა ჯირითი, რომელმაც უნაგრის უკანა ტახტა შეამტერა და ისე მწარეთ მოხვდა კუკუხოზე, რომ ჩაფხუტაძე გადმოვარდა ცხენიდან და მკლავი ოლრძა, შეიქნა არევ-დარევა. თავ. ჩაფხუტაძის მომხრეებმა თავ. მხეციას მომხრეებს ჩხუბი მოუნდომეს, და რომ ბაკურიძე არ გარეულიყო, და ორივე მხარე არ დაემშვიდებინა—ბევრი უბედურება მოხდებოდა. აქა-იქ გაიელვა ხმალმაც, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სისხლი არავის გადენია. დაშოშმანდა ჩოჩქოლი. სტუმრები წავიდ-წამოვიდენ. ბაკურიძეს და ანასტასიას სამოცი ცხენოსანი გამოჰყვა, ბევრი მათგანი დაუპატიჟებელიც იყო, მაგრამ ეს ბაკურიძემ პატივისცემათ მიითვალა, რადგან ფიქრობდა გულში, ალბათ სხვასთან წასვლას ჩემთან მოსვლა არჩევსო და ამით დარწმუნდა, რომ მისი ოჯახი ყველაზე უფრო დიდებული იყო, რადგან ყველაზე მეტი დაუპატიჟებელი სტუმარი მას მიუდიოდა ყოველ წელს. ცოტა ხანს იქით ბაკურიძის ეზო ცხენითა და კაცით აივსო. სახლის პატრონმა მაშინვე გასცა ბძანება დიდი თივის ზვინი წააქციეთო, რომ სტუმრების ცხენები მშიერი არ დარჩენო. მართლაც, იმ დღეს ოცდა ათი ფუთი თივა არ ყოფნიათ. სადილათ დასხდენ სასტუმრო დარბაზში სამოცდა ათი კაცი გარდა სტუმრების შინაურებისა, რომელთა რიცხვი კიდევ ზედ მეტი ოცდა ათამდის იყო. ისინი ცალკე ისხდენ მოლზე გაშლილი ტაბაკებით. სტუმრების შინაყმებს ბაკურიძის მოსამსახურეები აძალებდენ ღვინოს.

ლხინი ძალიან დიდ ხანს გაგძელდა. დიდი სიმღერის ხმა გამოდიოდა სასტუმროს დარბაზიდან, მაგრამ მოსამსახურეებსაც ძალიან დიდი მხიარულება და სიმღერა შეექნათ გაშლილ მინდორზე ლაჟვარდ ცას ქვეშ. ამ წმინდა ჰაერში მეტი ღვინოც დაილია. სტუმრები ისე შეექცენ ლხინს, რომ თემობაც გამოეპარათ სადილს უკან საყდარზე, თუმცა იქიდან საყდრის ბუკის ყვირილი ხშირათ მოდიოდა ბაკურიძისას.

ის დღე ისე დაღამდა, რომ სტუმრები არ ამდგარან სადილიდან. რომ შებინდდა, მხოლოთ მაშინ გააჩინეს დიდი ყანწებით ღვინის სმა. ეზოში მოქეიფენიც არ აკლებდენ ხელს. ისინი თუ მეტს არა, ნაკლებ ღვინოს არ ითხოვდენ ხელოსნიდან. ქალები, რასაკვირველია, კაცებს თანასწორობას ვერ გაუწევდენ მოლხენაში. ისინი დიდი ხანია წამოდგენ სუფრიდან; ზოგი ეზოში ისხდა და მუზიკის ხმაზე ცეკვავდა, ზოგი კი დაღალული სხვა-და-სხვა ოთახში განისვენებდა. ბევრ სტუმართაგანს მოჰკიდებოდა ღვინო და სადღაც ეზოში დაგდებულიყო უგრძნობლათ; დარბაზში დარჩენილიყვენ მხოლოთ ქირეეუ-

ლი მსმელები და ერთმანეთს არ უთმობდენ ალაგს. თითოეული ცდილობდა თავისი მოპირდაპირე აეყენებინა სუფრიდან და გაექცია. კიდეც გაიქცა ბევრი, დარჩენილიყვენ ცოტანი, რომელთაც არც ძლიერ დათრობას ეშველა რამე, არც იმათ სუფრიდან ადგომას. ღამე კარგა ხანი იყო გასული. უეცრათ დარბაზში შამოაშუქა არაჩვეულებრივმა სინათლემ. ამ დროს მოისმა ეზოში მყოფი ქალების კივილ-ჩხივილი და კაცების ჩოჩქოლი. —არიქა, უშველეთ, ბოსელს ცეცხლი ეკიდებაო!—ყველა ამას იძახოდა და არც ერთს კი თავი არ ჰქონდა თვითონ მიშველებისა. ბაკურიძე წამოხტა ზეზე სუფრიდან თოფ-ნაკრავ დათვივით, გამოვარდა გარეთ და შეჰძახა:—შიუკა, ბიჭებო, არიქა, მიშველეთ!.. ჩემი ბედაური!.. პირიმზის ბაჩა! ანასტასიას „კვანწია“! (ცხენის სახელია) გამოიყვანეთ!

ბაკურიძემ მარდათ ჩამოირბინა კიბეზე და გაეშურა ბოსლისკენ, რომელსაც ამ დროს მთელ სახურავზე მოდებოდა ალი და სახლის კედლებზე დიდი ალის ჩირაღი გამართულიყო. დაინახა თუ არა მან ეს მოვლენა, ერთ წამს შედგა; „ეს რა ამბავიაო!—გაიელო გულში.—ბოსელს ძირიდან უნდა გაჩენოდა ცეცხლი და აქ კი პირდაპირ სახურავს მოკიდებიაო“... მაშინვე მიხვდა, რომ ეს განზრახ გაჩენილიაო და ერთმა მწარე აზრმა ააღელვა მისი არსებობა: —იმ საძაგელ პეტრიელას არ მოეხდინოს ეს ამბავიო! ეს ეჭვი რომ მართლა გამართლდეს, მერე სად უნდა წასვლა იმ ჩემი ცოდვით საესეს? კბილით დავგლეჯ, ლუკმა-ლუკმათ ავკუწავ, მის ოჯახს ავაფორიაქებ, დედა მისს ანწუხზე წამოვაცვეინებ.. მის დას ცხენის კუდზე გამოვაბმევინებ და ისე დავაგლეჯინებ!... ჩემი ბედაური, თუ ღმერთმა ქნა და ახლა გადავარჩინე, ცეცხლში არ დამეწვა... ასეთი ბრაზ მორეული სიტყვებით გაექანა ის ბოსლისკენ და შეხედა, რომ ცეცხლს თან-და-თან უფრო გაჰქონდა გუგუნ-გუგუნი. შიკ დაბმულმა ცხენებმა თითქოს იგრძენეს, რაც უბედურება მოელოდათ, შექნეს ჭიხვინი და ფეხებ ბაგაზე უბრაკუნებდენ... შიუკა და ზოგიერთი შინაყმები დიდი ხანია შევარდნილიყვენ ბოსელში და ცდილობდენ ს.ჩქაროთ გამოეყვანათ ცხენები გარეთ, მაგრამ არც ერთი მათგანი ადგილიდან არ იძვროდა. ისინი მხოლოთ ერთ ადგილს ტრიალებდენ, ჭყიოდენ და არ უნდოდათ გარეთ გამოსვლა, თითქოს სურდათო თავი შეეწირათ გვენია ცეცხლისთვის.

ამ დროს მივარდა ბაკურიძე კარებთან: „შიუკა, ზარი უთხარით ცხენებს, ზარი, თვარა ისე ვერ გამოიყვანთ. ცეცხლის შიში აქვთ. თვალები აუფარეთ, ყურები დაუბუგეთ, რომ ცეცხლის გუგუნი არ ესმოდესთ, იქნება მაშინ გამოიყვანოთ“. მართლაც ბიჭებმა აამაღლეს ზარის სიმღერის ხმა, თვალები აუფარეს და ლურჯა თითქოს გამოერკვა, გამოვიდა გარეთ ბოსლის დერეფანში, იქიდანაც მალე მინდორში გააგდეს და ახლა შეტრიალდენ ისევ სხვა ცხენების გამოსაყვანათ, მაგრამ ამ დროს ჩამოინგრა დამწვარი სახურავის გადასაკიდები და ლარტყები დაეწვა ჭერს, რომლიდანაც ჩამოსკდა ძირს კომლი და ცეცხლის ალმა ლოკვა დაუწყო ჭერის ფიცრებს. ახლა კი ვეღარავინ გაბედავდა ბოსელში შესვლას.

—ეაი, შენ ჩემო თავო, ცხენები დამეწვა!—შემოიკრა თავში ხელი ბაკურიძემ და ხუჭუჭა თმა დაიგლიჯა. ამ დროს იგრიალა ჭერმა, კვამლი და ალი ბურქვათ ამოვარდა და გაანათა მთელი მიდამო მთაგორები. პირიმზის ხმა-მაღალი ტირილი მოისმა. „ჩემი ბაჩა, ჩემი კარგი ბაჩა!.. რალა მეშველება, რაღაზე შევჯდე!.. რა კარგი თოხარიკი იყოო!“ ყმაწვილის წვეილს შეუერთდა ქალების კივილი და ხალხის რუზრუზი. მთელი სოფელი მოატყდა ბაკურიძის ეზოს; დიდი ხმიანობა ატყდა. ისინი შავნაბადსავით გარს შამოხვეოდენ, მაგრამ არავინ კი არას აკეთებდა. შიუკა ჭირისუფალსავით განზე გამდგარიყო ლ იძახოდა: „ეაი, შენ ჩემო ბატონის ცხენებოო?“ ყველანი თანაგრძნობის სიტყვებს ამბობდენ, ზოგი ამბობდა ბოსლის ბუხარში ნაკვერცხალი დარჩენილიყო, ერთ სტუმრის ხლებულს ყალიონი აებოლებინა და ნაკვერცხალი უჩანრათ თივაში გადავარდნილიყოვო; ზოგი კი ამბობდა, მტრობით არის ცეცხლი გაჩენილი, თვარა პირველათ ალი სახურავიდან როგორ ავარდებოდაო. ამ დასკვნას ერთი სოფლის გლეხი კიდეც ასაბუთებდა იმითი, რომ იმ დროს, როცა პირველათ ალი ამოვარდა ჭერიდან, ერთი ვინღაც ჩოხიანი დავინახე, რომ სოფლისკენ გარბოდაო. ასეთმა უსიამოვნო შემთხვევამ ბაკურიძის სტუმრებს და მასპინძელს იმ ღლის ლხინი წაამწარა. ცეცხლი გათენებამდის არ დანელებულა. ბაკურიძე ისე ბოსლის დაწვას არ შეუწუხებია, როგორც კარგი ჯიშის ცხენების დაკარგვას. იმ დროს ქვენამხარში სახელგანთქმული იყო სახუცის ჯოგის ცხენები, რომელნიც ყარაბაღულისა და ქვენამხრის ცხენების ჯიშისგან შთამომაელობდენ, განსაკუთრებით შესანიშნავი იყვენ წმინდა ოქროს ფერი მორჩილი ლამაზი თავკისრიანი და ირემივით წვრილი ფეხებიანი ცხენები. ესენი იყვენ ღონიერნი, ჯაფის ამტანნი, მომთმენნი და სწრაფნი. ბაკურიძე უფრო იმას ჯაერობდა, რომ ანასტასიას ცხენი, ოქროს ფერი ჭაკი ბედაური, პირდა-პირ ზემოხსენებულ ჯოგიდან იყო გამოყვანილი. მას სასინანულოთ ის მიაჩნდა, რომ მისი ჯიშის ჭაკს აწ ძნელათ თუ იშოვნიდა. გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

დაუსრულებელი სტიპენდია და საუცხოვო სამშობლოს სიყვარული.

„ძვირფასო ჩემო მსარეგ, (?) რომელი ერთი გითხრა შორისკენ გარდასვლილმა, მით უმეტეს, რომ ყოველი ჩემი სიტყვა გამხნევების მაგიერ უფრო დაგაბნევდებს, წყლულს გიმუშავებს შოლოთ, ბირ-კი ვერ შეუკრავს, ვიშ ქართველობას!„ (სტილისტური მინუში „ივერიის“ ქართულისა!)

სტ. ყაზახაშვილი „ივერია“ 1898 წ. № 76.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი კარგა ხანია, მგონი, მეხუთე წელიწადი იქნება, რომ სტ. ყაზახაშვილს უგზავნის და უგზავნის სტიპენდიას. რა გასაკვირველია, რომ ძვირფასი იყოს მისთვის სამშობლო, რომელიც სათავად-აზნაურო კომიტეტის მეოხებით ასე გულ-უხვათ აჯილდოვებს მის სიზარმაცეს. სტ. ყაზახაშვილი პირველათ საქმო ფაკულტეტზე ბრძანდებოდა. შემდეგ ალარ მოეწონა და გადავიდა ფილოლოგიურზე. ფილოლოგიურზე დაჰყო სამი წელიწადი; ჩათვლილი აქვს კი მარტო ნახევარი წელიწადი. ბოლოს არც ეს მოეწონა. 1897 წლის 4 ნოემბრიდან ყაზახაშვილი ალარ ითვლება უნივერსიტეტში. კომიტეტი მაინც უგზავნის სტიპენდიას. წარსული 1898 წლის მეორე ნახევარში სტ. ყაზახაშვილმა გაიტანა თავის დოკუმენტები იურიევის უნივერსიტეტიდან და გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე. კომიტეტი უგზავნის და უგზავნის სტიპენდიას იურიევში. აქედან რალაც „მანქანის“ ძალით ფულები პეტერბურგში გადადიოდა. ეთქვათ, სტ. ყაზახაშვილს არც აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი მოეწონა და გადავიდა კიდევ სხვა ფაკულტეტზე. უნდა ვიფიქროთ, კომიტეტი კიდევ გაუგზავნის სტიპენდიას. როგორც გავიგეთ ამ დღეებში, ყაზახაშვილი ისევ გადმოდის იურიევის უნივერსიტეტში. კიდევ რომ გადავიდეს სხვაგან? კიდევ გაუგზავნის. ერთი სიტყვით მანამდის უგზავნის, სანამ არ მოეწყინება და ან სანამ თვითონ ყაზახ. არ იტყვის უარს. ყაზახაშვილი კი რათ იტყვის უარს, ფულებს ვისთვის უწყენია? გამოდის—ეს დაუსრულებელი სტიპენდია ყოფილა—იგივე პენსია. ამისთანა სტიპენდიისთვის კი მართებს სტ. ყაზახაშვილს დაგვიძახოს—სამშობლო მიყვარსო. ამ სტიპენდიის გამო სათავად-აზნაურო სკოლამ უკანასკნელათ ორი ბავშის აღზრდაზე მაინც უნდა აიღოს ხელი. მარა ვინ იცის, იქნება ს. ყაზახაშვილს უნდა რამდენიმე ფაკულტეტი მოისმინოს, საშინლათ დაიტვირთოს ცნიერებით და მერმე დაბრუნდეს „თავის ძვირფას“ სამშობლოში, მის საშველათ, სახსნელათ. მაგონდება ყაზახ. სიტყვები, რომლითაც მან მიმართა ერთ ჩვენ ამხანაგს, როცა ის დაეჭვდა ფაკულტეტის არჩევაზე—„შამოდი, კაცო, ფილოლოგიურზე,—რაც უნდა იყოს, სათავად-აზნაურო სკოლაში მაინც მოგვცემენ ადგილს“-ო. კიდევ უკეთესი. ეს იმისთანა სტიპენდია ყოფილა, რომელიც თბილ ადგილს ზედ მოგაკრავს, სულ რომ თითი არ გაანძრიო მაინც. [1])

გ. გელეიშვილი.

ქ. იურიევი.

წერილი იურიევიდან.

ᲗᲐᲢᲐᲠ ქალაქია იურიევი. პირველ შესვლაზედვე ამნჩევთ, რომ განსხვავებული ელ ფერი ადევს აქაურობას. სხვა ეროვნობასთან გაქვთ საქმე, სხვა ენაზე გესმისთ საუბარი, სულ სხვა კულტურა გიდგათ თვალწინ, ალბათ აქაური კულტურა ისეთი მძლავრი ყოფილა, რომ მისი მოხრა და სხვა სახისამებრ მოქნა შეუძლებელი ყოფილა. დიახ ეს ასეა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა იურიევში ცხოვრება მაინც მოდუნებულია. ვერსად ცოცხალ მოძრაობას ვერ ხედავთ, რომ თქვენი ყურადღება მიიზიდოს. რამ უნდა ასაზრდოოს აქ ახალთაობის გონება? ნუ თუ მარტო უმაღლესი სასწავლებლის კედლებია საკმაო, რომ კაცი ცხოვრებისათვის მოემზადოს? —ვეკითხები თავს და კითხვა კითხვათვე რჩება, რადგან ჩვენთვის დახშულია ყოველივე საუკეთესო გზა და ძალაუნებურათ უნდა შეურიგდე იმას, საცა პირველათ თავი ამოგიყვია. ამ განზრახვით შევდივარ ზანტათ აუდიტორიაში და ვისმენ ლექციას. ლექცია ნემენცურ ენაზეა. რა აღტაცებით, რა მღელვარებით გვესაუბრება პროფესორი; ის ამ უცხო ენაზე სრულათ იზიდავს ჩვენ ყურადღებას, გვაგებინებს მეცნიერების შინაარსს. თვითონაც ეტყობა მეცნიერება სატრფიალო საგნათ გაუხდია, და მას ფორმალურათ, ჩინოვნიკურათ არ უყურებს. ერთი სიტყვით ევროპიულ სფერა-

[1]) აგერ ერთი თვე იქნება, რაც ეს წერილი მივიღეთ, რომელსაც ამოწმებენ სხვა სტუდენტებიც ოთვისი ხელის მოწერით, მარა მიუხედავათ ამისა მისი დაბეჭდვა მაინც არ გვინდოდა. ასევე კი, როცა იურიევის 21 სტუდენტმა ყაზახაშვილის და კომპ. ჩაგონებით „იკერიაში“ გამოიალაშკრეს, ჩვენ იძულებული ვარ დავბეჭდოთ, დეე საზოგადოებამ იცოდეს მათი ვინაობა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ვიგრძენ თავი და ცოტა გულგაკეთებულმა ლექციის შემდეგ სტუდენტობას დავუწყე თვალიერება. სტუდენტობაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: რაღაც სხვა-და-სხვაობა იხატება მასში. ცალკე ჯგუფებათ დანაწილებულან ᲓᲐ თითქოს ერთი მეორეს ერიდებიან, თითქოს ეუბნებიან კიდეც ერთმანეთს: ჩვენში საერთო არა არისრა. ერთი სიტყვით აშკარათ ჩანს, რომ სტუდენტობაში რაღაც დიფერენციაციაა მომხდარი. მერე რამ გამოიწვია ეს? თითქოს ერთგვარ რამეს წარმოადგენს იურიევის ცხოვრება და ნუ თუ ამ ერთგვარობას ასეთი დანაწილება სტუდენტობისა შეეფერება? იქნება ეს იმიტომ არის, რომ აქ სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთ მოუყრიათ თავი და ერთი მეორისაგან ისე განირჩევიან, როგორც ნემცები, ესტონელები, ლატიშები, პოლონელები, რუსები და ქართველები? მაგრამ არა! ეს დიფერენციაცია უფრო სხვა ნიადაგზე არის აღმოცენებული და ეს ეროვნულ სხვა-და-სხვაობას ერთიანათ ჩრდილავს.

მაშ უკულმა დავიწყოთ და სტუდენტების საშუალებით მოკლეთ გავიცნოთ ის პირობები, რომელთაც ისინი დაუნაწილებია, ერთი მეორისაგან დაუშორებია.

დავიწყოთ ნემცებიდან, რადგან ესენი აქ უმრავლესობას შეადგენენ. უმეტეს ნაწილათ ესენი მსხვილი მესაკუთრეებია. მესამოცე წლებამდის ესენი აქ ფეოდალური უფლებებით იყვენ აღჭურვილი, ესტონელები და ლატიშები იმათი ყმები იყვენ. მსხვილი საკუთრება ახლაც შერჩენილი აქვთ. დღეს ამათ თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ შორს არ უხდებათ სიარული, განცალკეებით არიან და მათი ცხოვრება ახლაც ფეოდალურ კარჩაკეტილობას მოგვაგონებს. ამიტომ ცალკე არიან ნემეცი-სტუდენტებიც; მათ დაარსებული აქვთ თავისთვის ორგანიზაციები და საკუთარ წესდებას ემორჩილებიან. სხვა სტუდენტების საერთო ან კერძო საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, ხოლო, თუ იმათ მფარველობას ვინმე იკისრებს, ისინი სიამოვნებით მიიღებენ. ამგვარი კარჩაკეტილობა მათ ხელს უწყობს წმინდათ დაიცვან ზოგი ძველი თვისებები, როგორც მაგ. სტუმართ მოყვარეობა, ძმობა, ერთობა, ნდობა და სხვა. იშვიათათ მოხდება, რომელიმე მათგანმა ერთი ამ თვისებათაგანი დაარღვიოს და, თუ ეს მაინც მოხდა, დამნაშავეს ისე დასჯიან, როგორც მიღებული იყო „ძველებურ თემში". უმეტეს ნაწილათ განცხრომაში ატარებენ დროს; მათში დღესაც შეხვდებით ისეთ გასართობებს, როგორიც არის „ფეხტოვანიე", დუელი და სხვა. გვარი ფიზიკური ვარჯიშობა, რითაც ნემცები უფრო საშუალ სუკუნოების რაინდებს მოგვაგონებენ. ნემცებში სუფევს უფროს-უნცროსობა, რომელიც ჩამომაველობაზეა დამყარებული და არისტოკრატიული ხასიათი აქვს. ამის შესაფერისათ კორპორაციებში არის რამოდენიმე ხარისხი, რომელიც უნდა განვლოს ყველა ახლათ შესულმა. უფრო საყურადღებოა მდაბალი ხარისხი — „ფუქსი" — რომელსაც ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოიქცეს უფროსთან, უნცროსთან და სხ. კორპორაციებს ისეთი გავლენა აქვთ თავის წევრებზე, რომ იმათში გატარებული დრო არ ავიწყდებათ ნემცებს არც სტუდენტობის შემდეგ — ცხოვრებაში. ამას ამტკიცებს კორპორანტების დღესასწაული, რომელზედაც შორი ქვეყნებიდან მოდიოდენ თურმე ყოფილი კორპორანტები და აღტაცებით ეგებებოდენ თავის დღესასწაულს.

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ ნემცების კორპორანტების სტუმართ მოყვარეობა, და სტუმრებსაც ბევრს შოულობენ ისინი. ავიღოთ მაგალითათ ესტონელები და ლატიშები. არც ერთი და არც მეორე არ შედგება მსხვილი ფეოდალური მესაკუთრესაგან, პირიქით ესენი მესამოცე წლებამდის ნემცების ქვეშევრდომები იყვენ ეკონომიურათ; იმათ ყმებს წარმოადგენდენ. ამიტომ რა თქმა უნდა არც წინეთ და არც მას შემდეგ, რაც განთავისუფლება მოხდა ბატონ-ყმობისა, ამათ საერთო არა ჰქონდათრა ნემცებთან; დღესაც ზიზღით უყურებენ მათ. მხოლოთ არის ნაწილი ესტონელებისა, რომელსაც მესამოც-და-ათე წლებიდან საფაბრიკო მრეწველობისათვის მოუკიდნია ხელი, ფული შეუძენია, მცირე ბურჟუაზიათ გადაქცეულა, ბურჟუაზიული მოთხოვნილებები შეუთვისებია და ბოლოს თავისი ეროვნული არისტოკრატია მონდომებია. უთქვამს უბედურია ის ხალხი, რომელსაც თავისი არისტოკრატია არა ჰყავსო. ნემცებს მიჰკედლებია. ნემცების კორპორაციებისაკენ მიილტვიან ამათი მხრიდან გამოსული სტუდენტებიც, რომელთაც თავის სახელმძღვანელოთ კორპორანტების წესდება აქვთ გადმოღებული. ამ ვვარათ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშორებიან ისევ თავიანთ თანამემამულეებს და ყურადღებასაც არ აქცევენ იმათ ზიზღს. სწორეთ ამასვე ეხედავთ ლატიშებშიაც: ესენიც ამ გვარსავე ნიადაგზე ორათ არიან გაყოფილი. ერთმანეთში საერთო არა აქვთრა. ერთი მხარე კორპორანტებს ეკუთვნის, მეორე ამათგან განცალკევებულია. ესენი არიან აქაური მკვიდრი ელემენტები. ეს არის აქაური პარტიობა,—პარტიობა რომელსაც ეკონომიური ფაქტორი ატრიალებს, რომელიც ინტერესებზეა აგებული, რომელსაც კლასობრივი ანტაგონიზმი შეგვიძლია ეუწოდოთ. ეს ანტაგონიზმი ჩრდილავს ყოველივე ეროვნულ გრძნობას.

როგორ უჭირავს ამ დროს აქ თავი გარეშე სტუდენტებს, რომელნიც შორი ქვეყნებიდან მოსულან აქ სწავლის მისაღებათ? როგორ და ესენიც საერთო ფერხულში ერევიან. თავი მოქმედების ფაქტორი, იმისი გეგმა, იმათ თავისსავე სამშობლოდან აქვთ წამოღებული და იურიევში ყოფნის დროს ზოგი მათგანი პირველ ზემოხსენებულ მხარეს უმეგობრდება, ზოგი მეორეს და ამგვარათ მათშიაც ბუნებრივათ ისახება ანტაგონიზმი.

ავიღოთ მაგალითათ პოლონელები. ამათში ბევრია ისეთი, რომელსაც რთული მოთხოვნილებები აქვს, ფართოთ ცხოვრება უყვარს და აშკარათ ეკედლება ნემცების კორპორანტებს და საერთო არა აქვსრა თავის თანამემამულებთან. ცოტა რამ რუსებზედაც, მაგრამ—დროა გადავიდეთ ქართველებზე.

ქართველებმა აქ ერთი წლის წინეთ მოიყარეს თავი. საჭირო იყო რომ ქართველებს ამ უცხო ქვეყანაში გამოერკვიათ თავისი მდგომარეობა, საზოგადოების ყურადღება მიექციათ. ამან გამოიწვია ის, რომ აქ ქართველმა სტუდენტებმა გამართეს საღამო, ვითომ საქველმოქმედო მიზნით. აი ამ საღამოს შემდეგ იწყება ისტორია ქართველი სტუდენტებისა იურიევში. საღამოს მიზეზით მოხდა ის, რაც უნდა მოხდარიყო და რასაც, შეიძლება, სრულიადაც არ მოელოდენ აქაური ქართველი სტუდენტები. საღამომ იურიევში მართლაც აალაპარაკა ხალხი, აალაპარაკა, მაგრამ ორ ნაირ კილოზე კი. ერთი მხარე აქაური სტუდენტობისა ქება დიდებას ასხამს ქართველებს, რადგან საღამო მდიდრულათ იყო მოართული; მეორე კი ამავე მიზეზით ზიზღით იხსენიებს ამავე ქართველობას. ალბათ შეძლებულთათვის მდიდრული გემოვნება აუცილებელი მოთხოვნილება ყოფილა, შეუძლოთათვის კი შეუფერებელი და მიუწდომელი. ერთი სიტყვით მეორე მხარეს აქაური სტუდენტობისას ნათლათ დაუნახავს, რომ ქართველებთან მას საერთო არა აქვსრა. ახლა რას ნიშნავს, რომ ქართველ სტუდენტებს აქ თავი მოსწონთ ერთი მხრივ ქებადიდებით და ვერც კი ამჩნევენ მეორე მხრივ უკმაყოფილობას? რას ნიშნავს. რომ ყურადღებასაც არ აქცევენ თავისივე თანამემამულების განცალკევებას. უკანასკნელებიც უკმაყოფილოთ დარჩენილან, რომ ქართულ საღამოს უმთავრესი შემოსავალი ისევ საღამოს მდიდრულ მოწყობას დაჭირდა. ამ ნიადაგზე მომხდარა ქართველ სტუდენტთა შორის ანტაგონიზმი. ესეც შინაარსი ზემოხსენებული ისტორიისა, რომელმაც ჩვენი საზოგადოების ყურამდისაც მიაღწია კარგი ხანია. მაშ აქაც იგივე ფაქტორი?—აქაც ინტერესები?—მერე სად არის ის დიადი გრძნობა—გრძნობა ეროვნული, რომ აქ, ამ უცხო მხარეში მცირე რიცხვს ქართველებისას ერთი მეორეს ვერ უკავშირებს? კლასობრივი ანტაგონიზმი განა ჩვენში თავს არ გვაბეზრებს, რომ აქაც თავი იჩინა? რა დღეს მოვესწარით! რა ხანა დაგვიდგა!—მაგრამ რა გაეწყობა ყველაფერს თავის მიზეზი აქვს და ისევ გული დავიმშვიდოთ.

იურიევის ქართველ სტუდენტთა შორის ასეთი ანტაგონიზმი არ არის არა ნორმალური მოვლენა. ქართული საღამოს მდიდრულათ მოწყობა თვითონ მათსავე ინტერესებს და გემოვნებებს შეეფერებოდა. მუშტი კრივითაც ზოგიერთ მათგანს ქართველური ვაჟკაცობა, ძველებური მამაცობა გამოუჩენია და ნუთუ ამაზე ისინი გასაკიცხავი არიან? ნუ თუ საყვედურის ღირსი არიან ისინიც, ვინც ამის გამო უკმაყოფილოთ დარჩენილან და გაზეთების საშუალებით ჩვენი საზოგადოებისათვის შეუჩივლიათ, რომ ის სტუდენტობა, რომელზედაც მაღალი შეხედულება არსებობს ჩვენში, ასე იქცევა უცხო ქვეყანაში, ასე ახასიათებს უცხოელების თვალში იმ კულტურას, რასაც დღეს ბოლო ეღება ჩვენში.

ჩვენ კი, ახლათ ჩამოსულ ქართველებს, აქ მომხდარი განხეთქილება პირად ინტერესებზე გვეგონა აგებული და ერთ შვენიერ დღეს იმ დასკვნამდის მივედით, რომ აქ ქართველ სტუდენტთა შორის მომ-

ხდარი უკმაყოფილობა ჩირქსა სცხებს ყველა ქართველ სტუდენტს, ვინც კი როდისმე ამოჰყოფს თავს იურიევის უნივერსიტეტშიო. ჩვენი ვალია ეს ჩირქი ჩამოვირეცხოთო ჩვენ რომ შეგნებული გვქონდა რომ ხსენებული განხეთქილება სრულიად ბუნებრივია და ამით არავის ჩირქი არ ეცხება, მაშინ ასეთი უტოპიური აზრი თავში არ მოგვივიდოდა და მის განსახორციელებლათ დონკიხოტურ მოქმედებას არ დავიწყებდით. უწინარეს ყოვლისა, არც აქეთ არც იქით, ინსტიკტიურათ დავუახლოვდით ერთ მხარეს ქართველ სტუდენტებისას, (უმრავლესობას) მეორეს პირ-და-პირ დამნაშავეთ ეხედავდით და გაცნობაც კი დაგვეზარა მათი. ამიტომ იმათ ბრძანების კილოთი მოვექეცით, დავწერეთ რალაც უწყებასავით: „დორპატის ქართველ სტუდენტთა ჩირქის ჩამოსარეცხათ, მოდით და პასუხი მოგვეცით აქ მომხდარ განხეთქილების შესახებო“.—ბრძანების კილო იმათ არაფრათ ეპრიანათ, და შამოგვითვალეს, თუ გნებავთ ამხანაგებივით მოგვექეცით, თორემ თქვენი ბრძანების არა ეიცითრაო. ამ სიტყვებმა მოთმინებიდან გამოგვიყვანა, მაგრამ რას გავაწყობდით! რომ ვყოფილვიყავით სხვა ქალაქში სადმე-ამისთვის ძალიან დავსჯიდით, აქ კი ძალა უნებურათ „თავი დავიმდაბლეთ“ და ისევ წერილი გავუგზავნეთ. მეორეთ უარი აღარ გვითხრეს, მხოლოთ გვეთხოვეს სადმე საერთო ბინაზე მობძანდით, რადგან კერძო ალაგას ჩვენი მოწმები არ ვოვლენო. იქ სტუმრებსავით მიგიღებთ და ყველაფერსაც გიამბობთო“. როგორ თუ სტუმრებსავითო, განა ჩვენ ისინი სტუმრებათ გვიყურებენ, მაშინ როდესაც მაგათი უფროსები ვართო“?!—ამაყათ ეიძახდით. მოესპეთ მათთან ყოველივე დამოკიდებულობა ამ საქმის შესახებ და ჩვენით შევუდექით საქმის გამოკვლევას, მაგრამ რას გამოვიკვლევდით, როცა ხელში საუკეთესო საბუთები არ გვქონდა, ვისაც მივმართეთ, არავინ გვანდო. მივმართეთ უფრო მკაცრ საშუალებას: ვიშოვნეთ ბევრი მომხრეები ზოგი სტუმართ მოყვარეობით, ზოგი რით და თამამათ მოვთხოვეთ საჭირო საბუთები იმას ვისაც იგი ჰქონდა, მაგრამ აქაც მოეტყუვდით და ხელცარიელი დავრჩით. რა თქმა უნდა ამას ველარ მოვითმენდით და კიდეც ამიტომ ჩვენმა წარმომადგენელმა დევ-გმირმა საჯაროთ მუქარა გამოუცხადა სტუდენტობას, ე. ი. იმათ ვინც ჩვენი სურვილი არ დააკმაყოფილა. ამ მუქარის გამო ყველამ ეჭვის თვალით შემოგვხედა... ერთი სიტყვით აქაც ის მოხდა რაც უნდა მომხდარიყო: ჩირქის ჩამორეცხა გვინდოდა და... როცა ხელიდან გამოგვეცალა ყოველივე იარაღი, მაშინ ისევ მუდარა-კრივი ვახსენეთ და იმასთან გადვიტანეთ აპელაცია.[1])

სტ. ს. დეკ—ნი.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ბ. ნ. ელიავას. ჩვენ „გაცრუებულ მკითხველს“ ასე მივმართეთ: თუ თქვენი ხელობის არ გრცხვენიათ, თუ თქვენ სიმართლე გაინტერესებთ და პასუხიც გინდათ, პირბადეს აიხდით თქვა. მას შემდეგ აგერ თვე ნახევარი მიდის და მას არ აუხდია ფარდა. მაშასადამე, მას რცხვენია თავის ხელობის, მას მხოლოთ „აბლაკატობა“ აინტერესებდა და არა სიმართლე და ასეთი კაცი განა პასუხის ღირსია? მან უკვე უარჰყო თავისი ნაწერი და ხომ იცით რუსული ანდაზა „დაწოლილს არ სცემენო“. აი, ამიტომ თქვენი პასუხის დაბეჭდვა იმ ვაჟბატონის უადგილო პატივისცემათ მიგვაჩნია.

ბ.ბ. ვ. მს—ლიას და ი. ნ—ლს. ფალავას შესახებ ლაპარაკი კაიხანია გავათავეთ. ამიტომ თქვენი წერილები აღარ დაიბეჭდება.

ქ. ქუთაისი

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Გ. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ

იღებს ავათმყოფთ (ლევაშოვის ქუჩაზე, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13) დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის.

(10—1)

---

[1]) ჩვენ ეს წერილი მივიღეთ 12 დეკემბერს გასული წლისას. და თუ მისი დაბეჭდვა გავაჩერეთ—ეს იმიტომ რომ ვერიდებოდით იურიევის სტუდენტების შესახებ ლაპარაკს. მარა ახლა, როცა ამ ვაჟბატონებმა ბოროტებზე აგებული წერილით ჩვენ წინააღმდეგ კამპანიაშიქრეს („ივ.“ № 56), ამ წერილსაც ვბეჭდავთ შეუცვლელათ. ავტორი ერთი წევრთაგანია ამ კომისიისა, რომელსაც ამ კითხვის გადაწყვეტა ჰქონდა მინდობილი.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Марта 1899 г. Тип. М. Д. Ротиніянца—სტამბა ძ. დ. როტინიანცისა Год. пр. I. № 41.